პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
ოთხშაბათი
10 ივნისი
№ 135 (18077)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკებანი

სურათზე: მოლაპარაკების დაწყების წინ.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო

9 ივნისს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

ალჟირის მხრივ — ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალური მდივანი შადლი ბენჯედიდი, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე ს. ჰოფმანი, განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლ. იაკერი, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ფინანსთა მინისტრი მ. ჰ. იალა, ეროვნული განთავისუფლ ებ ის ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, დაგეგმვის მინისტრი ა. ბრაჰიმი.

მოლაპარაკებაზე, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, განხილეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების აქტუალური პრობლემები, მათ შორის ახლო და შუა აღმოსავლეთის, ხმელთაშუა ზღვისა და მსოფლიოს ზოგიერთი სხვა რაიონის მდგომარეობა.

აღინიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით იმპერიალისტური წრეების აგრესიული ავანტურისტული კურსი სერიოზულად ართულებს საერთაშორისო ვითარებას, საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას. მილიტარიზაციისა და აგრესიის ამ კურსს, ხაზგასმით თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, საბჭოთა კავშირი უპირისპირებს მშვიდობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შენელების შენარჩუნების პოლიტიკას, რომელსაც ფართოდ უჭერენ მხარს და იწონებენ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები, რასაც მოწმობს ბევრი ქვეყნის გამოხმაურება სკკპ XXVI ყრილობის მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივებისა და წინადადებების გამო. საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც გულმოდგინედ იმუშაოს, რათა შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა, შეინარჩუნოს დაძაბულობის შენელება, უზრუნველყოს მისი შემდგომი განვითარება, ითანამშრომლ ო ს ყველასთან, ვინც ნამდვილად ესწრაფვის ქვეყნად საიმედო და მტკიცე მშიდობას.

შ. ბენჯედიდმა დადებითად შეაფასა სკკპ XXVI ყრილობის მიერ წამოყენებული საგარეო-პოლიტიკური პროგრამა, საბჭოთა კავშირის თანამიმდევრული კურსი, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერა.

ახლო აღმოსავლეთის ვითარების განხილვის დროს აღინიშნა, რომ ახალი შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე ნურად, საქმიანად, როგორ დავრაზმოთ ფართო მასები მნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის.

მაღალი ოპტიმისტური განწყობილება, რომლითაც აღსავსე იყო რესპუბლიკის მშრომელებისათვის საიუბილეო ზეიმის ყოველი დღე, ყოველი საათი, ყოველი წამი, ყველა შემდგომი დღეები ახალი ძალით გამოვლინდება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, სადაც 21-დან 27 ივნისამდე გადაინაცვლებს საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის ეპიცენტრი.

საინტერესო და მრავალფეროვანია საქართველოს სსრ დღეების პროგრამა მოსკოვში, რომელიც იმართება საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან ერთად. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იქნებიან წარმოების მოწინავეები, ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ესტუმრებიან დედაქალაქის საწარმოებს, შეხვდებიან შრომითს კოლექტივებს. მაგალითად, თავიანთ ქართველ მეგობრებს მოელიან, რათა კვლავაც გაუზიარონ დღესასწაულის სიხარული, მუსიკალური საკრავებისა და ავეჯის წარმოების კომბინატში, სამკერვალო კომბინატ „სმენაში“, ქარხნები „კალიბრსა“ და „წყალხელსაწყოში“. ყველა ამ კოლექტივში საქართველოს ხელოვნების მუშაკები გამართავენ საღღესასწაულო კონცერტებს.

საბჭოთა საქართველოს დელეგაციის მოსკოვში ყოფნის დღეებში გაიმართება შეხვედრები და საუბრები სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, პარტიის ბაბუშკინისა და ძერჟინსკის რაიკომების, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის ხელმძღვანელებთან. სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ სახლ-მემორიალის „ქართველთა დასახლების ისტორია მოსკოვში (მე-17-18 საუკუნეები)“ და რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვებისადმი მიძღვნილი გამოფენების გახსნაში. ისინი გაეცნობიან ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მის ახალშენებლობებს, ბაბუშკინის რაიონის პიონერთა სახლში ესტუმრებიან მოსკოვის ხალხური ცეკვის სამაგვარო სტუდიას „ივერიას“, დათვალიერებენ ოლიმპიურ ობიექტებს, ოსტანკინოს სატელევიზიო კოშკს. პროგრამაშია აგრეთვე ვარსკვლავთა ქალაქის, მისი მუზეუმის დათვალიერება. სხვა საინტერესო ღონისძიებებზე დასწრება.

მოსკოვში საქართველოს სსრ დღეების ცენტრალური მოვლენა გახდება საზეიმო საღამო, რომელიც კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართება და მიეძღვნება საქართველოს სსრ და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავს, აგრეთვე „საქართველოსა და მოსკოვის ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ დღეები მოსკოვში

21-დან 27 ივნისამდე ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში გაიმართება საბჭოთა საქართველოს და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ დღეები.

მეჩაიეებო, დრო არ ითმენს!

შარშან ამ დროისათვის მოკრეფილი იყო 38 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. ყოველი დღე საშურია!

დამაჩქაროთ კრეფის ტემპი!

ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის დამზადება 9 ივნისისათვის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ მონაცემებით

რაიონები	იყო 1980 წელს	არის 1981 წელს
აფხაზეთის ასსრ	22.675	14.516
აჭარის ასსრ	14.199	11.571
მახარაძის	21.546	14.080
ზუგდიდის	14.755	9.582
ლანჩხუთის	6.075	5.148
ფალეზიხის	6.986	4.032
გეგეჭკორის	6.490	4.496
ჩხოროწყუს	5.724	4.738
ხობის	3.253	2.412
ცხაკაიას	3.618	2.529
ჩოხატაურის	3.621	2.492
ფულუკიძის	2.765	2.094
წყალტუბოს ზონა	2.910	1.348
ტყიბულის ზონა	2.256	749
სამტრედიის	903	748
თერჯოლის	544	391
ვანის	349	152
ჭიათურის ზონა	395	123
სულ რესპუბლიკაში	119.336	81.327

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის დამზადების მაჩვენებელი 38.009 ტონით ჩამორჩება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს. 5 ივნისისათვის კი ჩამორჩენა უფრო ნაკლები (37.602 ტონა) იყო. ეს კი მოწმობს, რომ ზოგმა რაიონმა ჩაის ფოთლის კრეფა გაძლიერების ნაცვლად შეანელა. ნატანებელ მეჩაიეთა თოსნობას მხარი უნდა აუბან და ნედლეულის დამზადების ტემპს განსაკუთრებით უნდა მოუმატონ აფხაზეთისა და აჭარის ახს რესპუბლიკების, ზუგდიდის. წალენჯიხის, ჩოხატაურის, ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონების, ტყიბულისა და წყალტუბოს ზონების მეჩაიეებმა, რომლებსაც შარშანდელთან შედარებით ათასობით ტონით ნაკლები ფოთოლი აქვთ მოკრეფილი.

ყოველგვარ ამინდში

გალი. (საკ. კორ. ი. გობეჩია). გალელმა მეჩაიეებმა წლეულს გადიდებული ვალდებულება იკისრეს — გეგმით გათვალისწინებული 41 ათასი ტონის ნაცვლად მოკრეფენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან 46 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. მაის-ივნისის გეგმა-ვალდებულება 22 ათასი ტონა ნედლეულის დამზადებას ითვალისწინებს.

— გაზაფხულის სიცივემ ჩაის კეგეტაცია შეაფერხა. შარშანდელ ამ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად ჩამოვრჩით ჩაის ფოთლის კრეფაში, — გვითხრა გალის რაიონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. შარანგიამ, — მაგრამ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი დავსახეთ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. რაიონის მეჩაიეები ფართოდ გამოხმაურნენ მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის მეჩაიეთა თაოსნობას. გალელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ყოველდღიურად რეკორდული ჩაის ფოთოლი მოკრიფონ და 20 ივნისამდე თავი დააღწიონ ჩამორჩენას, პირველი ივლისისათვის კი სამშობლოს უპატაკონ მაის-ივნისის გეგმა-ვალდებულების შესრულება, რაც წლიური გეგმის 52 პროცენტი იქნება.

ლიხნელები ბეჯითობენ

გუდაუთა. მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა თოსნობას — მკვეთრად აამაღლონ ქართული ჩაის ხარისხი და 20 ივნისამდე დაძლიონ წლევანდელი უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა — რაიონში პირველად ლიხნის XXIV პარტყრილობის" სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები გამოეხმაურნენ.

მათ გულმოდგინედ მოუყარეს ჩაის პლანტაციებს და ორგანიზებულად დაიწყეს მოსავლის აღება, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ჩაის ფოთლის კრეფის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მეორე ბრიგადის კოლექტივმა გადაწყვიტა წლეულს 178 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს გეგმით ნავარაუდევი 160 ტონის ნაცვლად, ჰექტარობრივი მოსავლიანობა გაადიდოს 11 ტონამდე, ხოლო საერთო რაოდენობიდან 85 პროცენტი პირველი ხარისხის ნედლეული მოკრიფოს. გათვალისწინებულია ჩაის ნარგავების ყოველ ჰექტარზე მაქსიმალური შემოსავლის მიღება. (**ხაკ. კორ.**).



ზ უგდიდის რაიონის ზედა ეწ-რის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში მიმდინარეობს ჩაის ფოთლის მასობრივი კრეფა. წელს მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 4.600 ტონა ფოთოლი, გეგმით გათვალისწინებულზე 700 ტონით მეტი. მოელი მოსავლის ნახევარს მოკრეფენ მანქანებით „საქართველო“.

ნატანებელთა მაგალითით ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველ დღე ახალ-ახალ წარმატებებს აღნევენ. ნატანებელთა მიხედვით ისინიც ისე შრომობენ, რომ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა 20 ივნისამდე დაძლიონ.

სურათებზე: ახალგაზრდა მექანიზატორი, კომკავშირელი ვახტანგ გვიშიანი, რომელიც დღეში ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებს; ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა.

ი. ჯოხოლელიძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჰლანტაციებშია „საქართველო“

სტენოგრაფიული ანგარიში

სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის შესახებ

გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მუშაობის სტენოგრაფიული ანგარიშის პირველი ტომი.

პირველ ტომში შეიტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის შესავალი სიტყვა ყრილობის გახსნისას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

ალჟირის მხრივ — ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალური მდივანი შადლი ბენჯედიდი, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე ს. ჰოფმანი, განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლ. იაკერი, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ფინანსთა მინისტრი მ. ჰ. იალა, ეროვნული განთავისუფლ ებ ის ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, დაგეგმვის მინისტრი ა. ბრაჰიმი.

მოლაპარაკებაზე, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, განხილეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების აქტუალური

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ამოცანები

საქართველოში იყო სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ნ. ნ. ტარასოვი. იგი გაეცნო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის საქმის ვითარებას.

უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა საქართველოს მსუბუქ ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. იგი ვითარდებოდა უპირატესი ტემპით, მიაღწია არსებითს წარმატებებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილმა დადგენილებამ „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებულმა რჩევა-დარიგებებმა და მითითებებმა ახალი მძლავრი იმპულსი მისცეს დარგის მუშაობის სრულყოფას.

ორ განვლილ ხუთწლედში მის საწარმოებში შეიცვალა 20 ათასი ერთეულზე მეტი მოძველებული ტექნოლოგიური მოწყობილობა, მწყობრში ჩადგა დიდმწარმოებელური აგრეგატებით აღჭურვილი ქარხნები და ფაბრიკები: ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანურის ქარხანა, ჭუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათი“, თბილისის გლდანის ტრიკოტაჟის საცვლის ფაბრიკა, სხვა საწარმოები, დამთავრდა კამეოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კომპლექსური რეკონსტრუქცია. რესპუბლიკის მთის რეგიონებში შეიქმნა მსხვილი საწარმოების 40 ფილიალი, სადაც დასაქმებულია 17 ათასი კაცი. მარტო მეათე ხუთწლედის წლების მანძილზე საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ გამოუშვა 61 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, 1980 წელს 750 ნაწარმს მიენიჭა საპატიო ხუთკუთხედი.

მომდინარე ხუთწლედში დარგის მშრომელთა წინაშე კიდევ უფრო დაძაბული ამოცანებია დასახული. სამრეწველო პროდუქციის წარმოება უნდა გაიზარდოს 1,3-ჯერ, მნიშვნელოვნად გაფართოვდება მისი ასორტიმენტი, გაუმჯობესდება ხარისხი. მწყობრში ჩადგება ახალი საწარმოები, რეკონსტრუირებული იქნება და ტექნიკურად განახლდება მოქმედი საწარმოები.

ამხანაგი ნ. ნ. ტარასოვი ეწვია დარგის რამდენიმე საწარმოს. ცხინვალში მან დაათვალიერა ტრიკოტაჟის საცვლის მშენებარე ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 9 მილიონ ცალ ნაწარმს გამოუშვებს.

მინისტრი დაწვრილებით გაეცნო გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მუშაობას. ახლა მიმდინარეობს მისი რეკონსტრუქცია, პროგრესული მოწყობილობით აღჭურვა. მაგრამ უკანასკნელ ხანს გაერთიანების კოლექტივი თავს ვერ ართმევს საგეგმო დავალებებს. მარტო მიმდინარე წლის ხუთი თვის მანძილზე მან სახელმწიფოს დააკლო 865 ტონა ნართი და 9,6 მილიონი მეტრი ქსოვილი...

ნ. ნ. ტარასოვი დაინტერესდა გაერთიანების საქმის ვითარებით, გააანალიზა მისი საქმიანობის დაბალი ტექნიკურ-ეკონომიკ ურ ი მაჩვენებლების მიზეზები. მან გამართა თათბირი გაერთიანებისა და მასში შემავალი საწარმოების ხელმძღვანელებთან. დაისახა გაერთიანების ჩამორჩენის დაძლევის, მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფის კონკრეტული გზები. მინისტრი ესაუბრა მუშებსა და სპეციალისტებს, გამოთქვა კრიტიკული შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოში დაბალია მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი, ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ საჭიროა მისი ამაღლება, დაზგების მომსახურების ზონის გაფართოება.

შედეგ მინისტრმა ნახა გაერთიანების მშენებარე კორპუსი, რომლის საწარმოო ფართობი შვიდი ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. მისი ამოქმედების შემდეგ —მშენებლებმა სიტყვა დადეს, რომ მას საექსპლოატაციოდ გადასცემენ ვადამდე, მიმდინარე წლის სექტემბერში, — აღმოიფხვრება დაუკავშირებლობა ცალკეულ წარმოებებს შორის, ყოველდღიურად დამატებით გამოვა დაახლოებით 400 ტონა მაღალხარისხოვანი ნართი.

პროდუქციის თითქმის ორ მესამედს სახელმწიფო ხარისხის ნიშნით უშვებს ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა, რომლის პროდუქცია იგზავნება ქვეყნის 333 ქალაქში. თანამედროვე მოდის მოთხოვნების შესაბამისი ახალი ნაწარმის გამოშვების ათვისება, საწარმოო ფართობების რაციონალური გამოყენება, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის მუდმივი ამაღლება საწარმოს განვითარების მაგისტრალური გზები გახდა. მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა ხაშურელთა პროდუქციას, გაეცნო ფაბრიკის მუშაობას, კოლექტივის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს, მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ პროგრამას.

თითქმის 2.250 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს წელიწადში საპროექტო სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საწარმო —ახალციხის საქსოვი ფაბრიკა. იგი ერთ-ერთია დარგის მსხვილი საწარმოების ათობით ფილიალიდან, რომლებიც საქართველოს შრომითი რესურსებით ჭარბ მთის რეგიონებში აიგო. ყოველწლიურად ოც მილიონამდე მეტრი ქსოვილი —ასეთი იქნება ფაბრიკის წვლილი რესპუბლიკის ფეიქართა შრომითი მიღწევების საერთო ულუბაში. ამხანაგმა ნ. ნ. ტარასოვმა, როცა საწარმოს ეკონომიდა, აღნიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში ახალი მუშახელის ნაკადი სახალხო მეურნეობაში შემცირდება, ამიტომ რესპუბლიკის ბამბეულის მრეწველობის განვითარების მთავარი გზა უნდა გახდეს ფილიალების შექმნა რაიონებში, სადაც შრომითი რესურსები ჭარბად არის. მინისტრმა თქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ახალგაზრდა საწარმოო კოლექტივის თითოეული წევრის კვალიფიკაციის დაჩქარებულ ამაღლებას.

კამეოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი საწარმოა. აქ დამთავრებულმა რეკონსტრუქციამ ხელი შეუწყო საწარმოო სიმძლავრეების მნიშვნელოვან გაფართოებას, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდებას, ხარისხის გაუმჯობესებას. კომბინატი აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე ტექნიკით. მინისტრმა -დადებითად შეაფასა კოლექტივის მუშაობა, შრომის ორგანიზაცია „კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. მან აღნიშნა, რომ საწარმოს შეუძლია და კიდევაც უნდა გახდეს წარმოების მაღალი კულტურის საწარმო.

ნ. ნ. ტარასოვი იყო აგრეთვე გლდანის ტრიკოტაჟის საცვლის ფაბრიკასა და პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში, გამოთქვა კმაყოფილება მათი საწარმოო საქმიანობის გამო.

საწარმოებში მოგზაუ რ ო ბ ის დროს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრთან ნ. ნ. ტარასოვთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. მ. ივანაშვილი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. პ. გამცემლიძე.

გაიმართა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის სხდომა. კოლეგიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ნ. ნ. ტარასოვი და ზ. ა. პატარიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა დიდი და სერიოზული სხ-ბაასი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, თბილისში გამართულ ამაწინანდელი საიუბილეო ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული დებულებების, დასკვნების, რჩევა-დარიგებებისა და რეკომენდაციების მიხედვით დარგის ამოცანების შესახებ.

თათბირზე ამხანაგმა ნ. ნ. ტარასოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა შეიტანეს მოახდინეს რესპუბლიკის დარგის გაცნობამ, შეეხო მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს, მთავარ პრობლემებს, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. მ. ივანაშვილი, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. პ. გამცემლიძე. (საქინფორმი).

ხალხთა ლენინური მეგობრობა

მოსკოვში გამოვიდა დოკუმენტებისა და მასალების კრებული, რომელიც ასახავს 1981 წლის 21-24 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ყოფნას ქალაქ თბილისში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

კრებულში დაბეჭდილია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა საზეიმო სხდომაზე, სხდომის მონაწილეთა გამოსვლები და მისალმებები და სხვა მასალები. (საკდესი).

სოციალისტური შეჯიბრების გვერდი

საქართველო გადავაქციოთ მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად!

სასურსათო პროგრამის უდავოდ უმნიშვნელოვანესი ნაწილია მეცხოველეობა. XXVI ყრილობამ ტუილად როდი უწოდა მას დამკვრელური ფრონტი. არადა, თქვენთან, რესპუბლიკაში, ამ დარგის შედეგები უნდა გაუმჯობესდეს. ჯოგის პროდუქტიულობა საკმაოდ სწრაფად ვერ იზრდება. ამიტომ სწორედ მოქცეულსართ, რომ დასდგომიხართ კურსს, რათა საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად გადააქციოთ.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ეჯიბრებიან, ეხმარებიან

მხარს უჭერენ ალვანელი ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის ნაზო კეტრიაშვილის თაოსნობას წყვილთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

ხელის გულივით მოჩანს რიონის მარცხენა და მარჯვენა ნაპირების თვალსაწიერზე გადაბნეული საყანეები, ახლად აღმოცენებული ნათესები. ალაგ-ალაგ კი ასობით ჰექტარზე საამოდ აბიბინებოლა შირიის, ბარდასა და პიროტყვის სხვა საკვები კულტურები. აქეთ კი საადრეო კომბოსტო შემოსულა.

— მართალია, მეათე ხუთწლედის ფინიშთან ხელდამშვენებული მივიდნენ ჩვენი რაიონის მშრომელები. მათ რესპუბლიკაში პირველებმა უპატაკეს ქვეყანას ხუთწლედის ვადამდე შესრულება, მაგრამ ეს უკვე წარსულის საქმეა, — ამბობს საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თამაზ იმედაძე. — მოპოვებულით გულდამშვიდება და თავბრუდახვევა იკიდე ჩამორჩენაა. ამიტომ, რასაც მივალწიეთ, დღეს აღარ გვაკმაყოფილებს. ახლა ახლებურად, ოთხმოციან წლებს რომ შეიფერება, ისე ვშრომობთ. ყრილობის დამთავრებისთანავე ჩვენი მშრომელების ყურადღება მიიპყრო გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილმა ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოს-ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის ნაზო პატრიოშვილის ნამდვილად პატრიოტულმა თაოსნობამ წყვილთა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გავრცელების შესახებ. მის თაოსნობას ჩვენთან უკვე ვნერგავთ, ვიყენებთ შეწყვილებული ბრიგადების შეჯიბრების ამ ახალ ფორმას.

მდივანი კიდევ ბევრ საყურადღებო საკითხზე გვესაუბრა, მაგრამ დაბეჭითებით მაინც ხაზი გაუსვა სასურსათო პრობლემების გადაჭრის საქმეში წყვილთა სოციალისტური შეჯიბრების ფართო გავრცელების დიდ მნიშვნელობას. მან დაგვისახელა სოფელ გომის საბჭოთა მეურნეობის წარჩინებული ბრიგადირის მურმან ნადირაძის ბრიგადა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული სამტრედიის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადასთან, რომელსაც შოთა გილაზონია ხელმძღვანელობს.

ჩვენც პირველად სოფელ გომის მებოსტნეობა-მერძევეობის მეურნეობას ვესტუმრეთ. კარგი ორგანიზატორია მეურნეობის დირექტორი პ. ნადირაძე, იგი ამ საკითხით თურმე ადრევე დაინტერესებული.

— სწორედ ჩინებული და მისაბაძია ზემოალვანელთა თაოსნობა, ამბობს იგი, — ჩვენი მეურნეობის მშრომელებმა არათუ მოიწონეს, გადაწყვიტეს კიდეც თავადაც დანერგონ წყვილთა შეჯიბრების ახალი მეთოდი. ამ საინტერესო ინიციატივას პირველად მურმან ნადირაძის ბრიგადის წევრები გამოეხმაურნენ. ეს ჩვენ შრომითი წარმატებების მოპოვებაში გვეხმარება. კარგია, ნამდვილად კარგია წყვილთა შეჯიბრება. წინათ ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრებოდა სამეურნეო მაჩვენებლების წინ წასაწევად. ეს ურიგო როდი იყო, მაგრამ შეწყვილებული ბრიგადების შეჯიბრება სულ სხვა არის. აი როგორ ვგრძნობ ამას ეს: მოწინავე ბრიგადა სამეურნეო ვალდებულებებთან ერთად ვალდებულებას კისრულობს თავისსავე სოფლის ჩამორჩენილ ბრიგადას დაეხმაროს, რომ მოწინავე გახდეს. ამ პირობით ჯიბრება რაიონის სხვა მეურნეობის მოწინავე ბრიგადას, რომელმაც თავის მხრივ უნდა ივალდებულოს მოწინავე გახდოს თავისი სოფლის რომელიმე ჩამორჩენილი ბრიგადა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ თაოსნობის ფართოდ გავრცელების შედეგად უახლოეს მომავალში ჩამორჩენილი ბრიგადა აღარ უნდა იყოს ჩვენს ირგვლივ.

ჩვენ გვიკვირს, რომ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელება პირუტყვის საკვები ბაზის შეიქმნელად წარმოუდგენელი — სწორედ ამ საკითხზე ამბობენ ბრიგადის ხალხი. ასეა გურჯაანის რაიონშიც. კაჭრეთის მეცხვარეობის მეურნეობას 14.350 სული ცხვარი ჰყავს. ეს შეიძლება მთიანი რაიონისათვის ცოტა იყოს, მაგრამ გურჯაანისათვის ნამდვილად ბევრია. მიუხედავად ამისა, უახლოეს წლებში ეს რიცხვი გაორმაგდება, ესეც შენი „მეორეხარისხოვანი“ დარგი!

მეურნეობის დირექტორი ფარვიზ ბაწელაშვილი, რომ იტყვიან, დღე და ღამე საქმეშია ჩაფლული, ანუ გზებზეა გაკრული. ამდენ ცხვარს, ბუნებრივია, ერთ ადგილზე ვერ ატრიალებ — საძოვარი არ ეყოფა, დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი და მისი დახედვაც ბევრ ადგილზე ადვილი არ არის. ამიტომ ოფინარეულად პირუტყვის საკუთარი საკვებით უზრუნველყოფა დაისახეს ამ მიზნად. მეცხოველეობის კომპლექსის მახლობლად მწვანედ ბიბინებს 120 ჰექტარი შვრია, 70 ჰექტარი სამყურა, 40 ჰექტარი იონჯა, 60 ჰექტარი ბარდა. წელს 1500 ტონა მარტო სენაჟს ჩადებენ, დაასილოსებენ 80 ჰექტარი სასილოსე სიმინდის ნათესიდან მიღებულ 1.600 ტონა მასას. ასე, რომ გომელები პირუტყვის საკვების სხვადასხვა შეძენაზე მეურნეობის სახსრებიდან კაპიკსაც არ გაიღებენ და, როგორც მელი ბრიგადის საამაყო მაჩვენებლებს, ვისაუბრეთ ბრიგადირ მურმან ნადირაძეს, რომელმაც ხელისგულივით გადმოგვიშალა ჭეშმარიტად მამაცური შრომისა და დიდი გარჯის შედეგად მიღწეული წარმატებები.

ბრიგადის წევრთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში სახელმწიფოს მიჰყიდეს 12 ათას ცენტნერზე მეტი ბოსტნეული, ახალი ხუთწლედის 2 წლის განმავლობაში კი შესრულებული აქვთ.

ახლა ჩვენი ბრიგადის წევრებმა გადავწყვიტეთ, რომ ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოს-ბრიგადირის ნაზო პატრიაშვილის მაგალითისამებრ გავშალოთ წყვილთა სოციალისტური შეჯიბრება. ბრიგადის მშრომელებმა მტკიცედ ვივალდებულეთ, რომ ჩვენს ბრიგადასთან ერთად მოწინავეთა რიგებში ჩავიყენოთ მეზობელი, შედარებით ჩამორჩენილი ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა ბრიგადირი გულადი ნიკორაძე ხელმძღვანელობს. ყველა სასარგებლო ღონისძიებას განვახორციელებთ და მხარში ამოვიდგებით ამ საშვილო ბრიგადას, რათა მოწინავეთა რიგებში ჩავიყენოთ.

შ. ალიაზონიას ბრიგადის წევრები ქმაყოფილებით შეხვდნენ მეზობელი გომის საბჭოთა მეურნეობის მ. ნადირაძის ბრიგადის გამოწვევას. თავის მხრივ ვალდებულება იკისრეს კოლმეურნეობაში შედარებით ჩამორჩენილი პირველი ბრიგადა (ბრიგადირი ნინო რევაზიშვილი) ეძოლეს დროში აიყვანონ მოწინავეთა დონეზე.

ამ საინტერესო წყვილთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ის იქნება, ვინც თავის ბრიგადასაც და საშვილო ბრიგადასაც მოაპოვებინებს წარმატებებს. თუ ვინ გაიმარჯვებს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მოწინავეთა გამოცდილების მისამართები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავის გამო გამართულ საიუბილეო ზეიმზე სერიოზული ამოცანები დაუსახა რესპუბლიკის მეცხოველეებს, ამ გვერდში დაბეჭდილი სოციალისტური შეჯიბრების მასალები სწორედ მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას ისახავს მიზნად.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ სოფლის მშრომელებს გვინდა შევახსენოთ მისამართი მოწინავეთა გამოცდილებისა, რომლიდანაც ბევრი კარგის გადმოღება და წარმოებაში დანერგვა შეიძლება. გთავაზობთ მოწინავეთა გამოცდილების მისამართს:

აბაშა

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ამ ბოლო წლებში დაინერგა ხორცისა და რძის წარმოების გადიდების ეფექტიანი ღონისძიებანი. **ეს არის მოსახლეობის საზოგადოებრივ მეურნეობებთან კოოპერირების წესი. აბაშელთა გამოცდილება საინტერესოა და მისი შესწავლა და წარმოებაში დანერგვა დიდ სიკეთეს მოუტანს სახელმწიფოსაც და მშრომელებსაც.**

ახმეტა

ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი ნაზო პეტრიაშვილი, წყვილთა შეჯიბრების ინიციატორია. **ბრიგადის მეღორეები ზოოვეტწესების სანიმუშოდ დაცვით და პირუტყვის კარგი მოვლა-პატრონობით გოჯების მიღებასა და გამოზრდის სანიმუშო შედეგებს აღწევენ. ამავე ბრიგადაში დაინტერესებული მეცხოველეები გაეცნობიან წყვილთა შეჯიბრების შედეგებს,** იმასა, თუ როგორ ზრუნავს ბრიგადა მეზობელი ჩამორჩენილი ბრიგადის დასაწინაურებლად.

ფიროზაყარო

ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში მეცხოველეებმა წველადობის გადიდების საინტერესო გამოცდილება შეიძინეს. **აქ შავგრელი ჯიშის თითოეულ ფურზე წელიწადში 3.000 ლიტრზე მეტ რძეს იღებენ. მეტად საყურადღებოა აქაური მწველავის, სოციალისტური შრომის გმირის ზაირა ალხანაშვილის გამოცდილება.**

ლენინგორი

უკანამხარის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში ბოლო ხანს საინტერესო გამოცდილება შეიძინეს. **აქაური მეცხვარეები ყოველ 100 ნერბზე 100-105 ბატკანს იღებენ და ზრდიან. საინტერესოა გამოცდილი სარქლის, ლენინის ორდენოსან ძ. ხინჩაგოვის გამოცდილება.**

სილნაღი

ბოდბისხევის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში კოლმეურნეობის თავმჯდომარის **ზოოტექნიკოს გ. გელაშვილის მრავალი წლის მუყაითი შრომის შედეგად ორ წელიწადში სამი დოლის მეთოდი დაინერგა. ეს მეთოდი ხორცის, რძისა და მატყლის გამოსავლიანობას ძალიან ადიდებს.** თავიანთ გამოცდილებას ისინი ყველას ხალისით უზიარებენ.

მახარაძე

რაიონში ფართოდ გავრცელდა მეცხოველეობაში კოოპერირების ახალი ფორმები. ამას გარდა **აქ გამოიძებნა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების რეზერვები. რაიონის საკვებმომამზადებლებმა საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით აითვისეს პალიასტომის ტბის პირას დაჭაობებული მიწები და აქ ყოველწლიურად ათი-ათასობით ტონა საკვებს ამზადებენ.** მათი გამოცდილება საინტერესოა კოლეგთის დაბლობზე არსებული საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის.

ფერმის წარმატებები

წლის პირველ ნახევარში მუშაობის კარგი შედეგები აქვთ მეცხოველეობის ახალი ფერმის მუშაკებს. ეს ფერმა არც ისე დიდი ხნის წინათ ჩადგა მწყობრში თერჯოლის რაიონის სოფელ ენრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. ფერმამ სახელმწიფოს მიჰყიდა 485 ცენტნერი რძე, 51 ცენტნერი ხორცი. ეს მაჩვენებლები საგეგმოზე მეტია.

ბეჯითად, მონდომებით მუშაობენ ფერმაში ვეტფერშალი ზ. ზარნაძე. მწველავები მ. ბახილაძე, მ. პაკარიძე, თ. ხუციშვილი და სხვები.

● ●

სურათებზე: სოფელ ენრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მოწინავე მწველავები (მარცხნიდან): მარინე გვენეტაძე, თამარ ხუციშვილი და მზია პატარიძე.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სასურსათო პროგრამა:

შეფობას კისრულობს კომკავშირი

მიმდინარე ხუთწლედში საქართველოს უმნიშვნელოვანეს მეცხოველეობის ობიექტებზე გაემგზავრება 9.400 კომკავშირელი. ჩამოყალიბდება 280 კომკავშირულ-ახალგაზრდული ფერმა, დამზადდება 6 მილიონ ტონაზე მეტი საკვები პირუტყვისათვის — ასეთია რესპუბლიკის კომკავშირის საქმიანი პასუხი თბილისის ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმულ მითითებებსა და შენიშვნებზე, რომლებიც ეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასა და სპეციალიზაციას, სასურსათო პროგრამის შესრულებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში რესპუბლიკის კომკავშირელების, ახალგაზრდობის მონაწილეობის და აქტიურობის საკითხებს მიეძღვნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროების კოლეგიათა გაერთიანებული გაფართოებული სხდომა. სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. ხუციშვილი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. ეცადაშვილი, მისი პირველი მოადგილე გ. ყიფიანი, საქართველოს ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი თ. ჯაბადარი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლ. ზაქაიძე, კომკავშირის საოლქო, მთელი რიგი საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეები, ახალგაზრდა მეცნიერები.

სხდომის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ბოლო წლების განძლიერ შესამჩნევად გაიზარდა კომკავშირელების, ახალგაზრდების წვლილი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მაგალითად, თუ მეათე ხუთწლედის პირველ წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში დასაქმებული იყო 182 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი, დამამთავრებელ წელს მათმა რიცხვმა 200 ათას გადააჭარბა. 1976 წელთან შედარებით შარშან მათ სახელმწიფოს ჩააბარეს საშუალოდ 75 პროცენტით მეტი ჩაი, ყურძენი, ციტრუსი, ხილი, ბოსტნეული, სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტები. რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილმა მოძრაობამ „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდების ენთუზიაზმი და შემოქმედება“ ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების ახალი, დამატებითი რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებას. ამის შედეგად რესპუბლიკის კომკავშირელებმა, ახალგაზრდობამ მეათე ხუთწლედში მოკრიფეს 1.335 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 1.520 ათასი ტონა ყურძენი, 800 ათასი ტონა ხილი და ა. შ.

გაერთიანებული სხდომის წინ კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი, კონკრეტული წინადადებანი იმის თაობაზე, თუ როგორ გაძლიერდეს ახალგაზრდობის აქტიურობა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, თბილისის საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში დასახულ ამოცანათა შესაბამისად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობის საქმეში.

შემოსულ წინადადებათა გათვალისწინებით განისაზღვრა მთელი რიგი განსახილველი საკითხები, შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კომკავშირელები, ახალგაზრდობა, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასურსათო პროგრამის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესრულებაში, კისრულობენ შეფობას სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანესი უბნებისადმი. ეს არის საზოგადოებრივი მეცხოველეობის ყოველმხრივი განვითარება, კოოპერაციაში ახალგაზრდობის ფართო ჩაბმა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით, მრავალწლოვანი ნარგავების სიმეჩხრის ლიკვიდაცია, ბრძოლა სარეველებთან, ნაკლებსაყოფიერი და გამოუყენებელი მიწების ათვისება.

დასახულია სამუშაოთა ვრცელი პროგრამა რესპუბლიკის ყოველ რეგიონის, რაიონის, ქალაქის მახედვით. ამ პროგრამის რეალიზაცია, სპეციალისტების აზრით, ერთობ საგრძნობ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს. მაგალითად, წინასწარი გამოთვლებით, მხოლოდ ბალეგვის ეფექტიანი გამოყენებისა და განთავსების დარგში კომკავშირელების მეოთხედ საუკუნეზე ხელმძღვანელობით განხორციელება ხუთწლედის დასასრულისთვის უზრუნველყოფს ორნახევარ ათასეულ ტონა 120 ათას ტონა რძის მატებას. ახალგაზრდების ძალისხმევით მხოლოდ ექვსი ათასი ჰექტარი ვენახების ფართობის გადიდებასა საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად დამატებით მოვკრიფოთ 35 ათასი ტონა ყურძენი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები დგას კომკავშირის ქარელის, წყალტუბოს, ონის, ჩხოროწყუს, ბაზუკიანის და ზოგიერთი სხვა რაიონული კომიტეტის წინაშე, სადაც ვენახების სიმეჩხერე 18-38 პროცენტს შეადგენს. რადიკალურად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა აგრეთვე კომკავშირის დასავლეთ, სამტრედიის, წულუკიძის, თერჯოლის, მესტიის რაიონების კომიტეტებმა, სადაც ხეხილის ბაღების სიმეჩხერე საშუალო რესპუბლიკურ დონეზე გაცილებით მეტია და ცალკეულ ადგილებში 49 პროცენტს აღწევს. სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნეს, რომ ეს არის სერიოზული ეკონომიკური პრობლემა, რომლის წარმატებით გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული მთლიანად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარება.

ათასობით ჰექტარი მიწა უნდა გაიწმინდოს სარეველებისაგან. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. არანაკლებ მნიშვნელობა აქვს აგრეთვე 12 ათას ჰექტარი ნაკლებნაყოფიერი და გამოუყენებელი მიწების ათვისებას, სადაც გაშენდება ტყეები, ხეხილის ბაღები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ორჯონიკიძემ.

სხდომის მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი. (საქინფორმი).

ფური ოჯახის ბარაქაა

550 კილოგრამი, ი. მამულაძემ — 550, ა. დუმბაძემ — 500 კილოგრამი.

თავმჯდომარე ამბობს, რომ სოფლის მოსახლეობისათვის ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მოქალაქეთა დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც პრესაში ამას წინათ გამოქვეყნდა. მასში კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს საკარმიდამო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

დადგენილების შესასრულებლად კოლმეურნეობამ კონკრეტული გეგმა შეიმუშავა. ასლან აბაშიძეს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში საამაყოც ბევრი რამ აქვს. კოლმეურნეობას რაიონში ყველაზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს — 645 სული, რძესაც ყველაზე მეტს ამზადებს, ხოლო მოსახლეობაში 1800 სულამდე პირუტყვია. ოჯახს ვერ ნახავთ, სამ სულზე ნაკლები რომ ჰყავდეს. კოლმეურნეობამ წელს ვალდებულება იკისრა საზოგადოებრივი სექტორიდან სახელმწიფოს მიჰყიდოს 10 ტონა ხორცი, მოსახლეობამ კი — 40,5 ტონა.

ხიხაძირელებს როდი ჩამორჩენიან თხილვანელები. სერგო ბოლქვაძე რაიონში ერთ-ერთ მოწინავე თავმჯდომარედ ითვლება. ამაზე მეტყველებს კოლმეურნეობის ეკონომიკური მაჩვენებლები, თამბაქოსა და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვე. კოლმეურნეობის გამგეობა ყოველმხრივ უწყობს ხელს საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებას. მათ ისეთივე მაჩვენებლები აქვთ, როგორც ხიხაძირელებს. შარშან კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 10 ტონა ხორცი, ხოლო მოსახლეობამ—40 ტონა. თხილვანაშიც არიან რეკორდსმენები, ა. ბოლქვაძემ აწარმოვა 1480 კილოგრამი ხორცი, ბ. ქამადაძემ — 1250, ბ. ციცხლაძემ — 1140, თ. ქამადაძემ — 700 კილოგრამი. თავის მხრივ კოლმეურნეობა დიდ დახმარებას უწევს მოსახლეობას. შარშან საკარმიდამო მეცხოველეობისათვის 38 ტონა კომბინირებული საკვები და 165 ტონა თივა გამოყო.

— წელს რას ფიქრობთ? — ვკითხეთ თავმჯდომარეს.

— საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ საკარმიდამო მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის ახალი ამოცანები დაგვისახა, კოოპერირების წესსაც გამოვიყენებთ, შარშანდელთან შედარებით ხორცის წარმოებას გავზრდით 5 ტონით, მოსახლეობას უკით მოვამარაგებთ უხეში და კომბინირებული საკვებით.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხულის რაიონის ყველა კოლმეურნეობაში როდია ასე. მთელ რიგ სოფლებში არის ოჯახები, რომელთაც არც ერთი სული მსხვილფეხა პირუტყვი არ ჰყავთ, სხვისი ხელის შემყურენი არიან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე ხულის მეცხოველეები გაკიკრიტიკეს პირუტყვის მცირე პროდუქტიულობის გამო. ამის შემდეგ მრავალფეროვანი ღონისძიებები განხორციელდა: შეიძინეს ასობით ჯიშიანი ფური, უკით უფლიან სათიბებსა და საძოვრებს. ხიხაძირის, თხილვანისა და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები პირუტყვს უზრუნველყოფენ ადგილზე დამზადებული უხეშით საკვებით. ბოლო ორ წელიწადში პირუტყვის სულადობა 2.000 სულით გაიზარდა. როგორც რაიონის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, 1983 წლისათვის არ იქნება არც ერთი ოჯახი, რომელსაც რამდენიმე სული მსხვილფეხა პირუტყვი არ ეყოლება. კოლმეურნეობები ინდივიდუალურ ფერმერებს ხელშეკრულებებს. ყოველმხრივ უწყობენ ხელს საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებას, სულ უფრო ზრდიან ხორცის წარმოებას.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გარჯის საზღაური

წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გურჯაანის რაიონი დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ნამდვილად დიდი წარმატებაა!

გურჯაანს რომ ვახსენებთ, უპირველესად, ვაზი, ვენახი და მისი მადლი — ყურძენი და ღვინო გვახსენდება, მაგრამ მეცხოველეობასაც რაიონის ეკონომიკაში თავისი სიტყვა ეთქმის.

ჩვენს წინაპრებს ვინ უწყის, რამდენი საუკუნე დასჭირდათ, რომ გამოეყვანათ ვაზის, ხეხილის, ხორბლის, საქონლის ჯიშები, რომლებიც ჩვენს მიწასა და კლიმატს შეეგუებოდა, და რამდენ წვალებას, ჯაფასა, ალღოსა და ცოდნაგამოცდილებას მოითხოვდა ეს, მაგრამ საბალალო ის არის, რომ ამგვარ, საუკუნეობით დადგენილ დაკანონებულ ტრადიციაზე ერთბაშად ვთქვით უარი.

ასე დაემართა თუშური ცხენს, თუშური ცხვარს...

ახლა ბევრს ვლაპარაკობთ, ვწერთ, ვცდილობთ ისევ მოვამრავლოთ თუშური ცხვარი. უარის თქმამ გამოიწვია ჩვენი ფარების შეცოტავება. ამ საბუთის უტყუარობაზე ახლა აღარ კამათობენ.

საბედნიეროდ, ამ ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სათანადო ყურადღება დაუთმო ძველი შეცდომების გამოსწორებას. ახლა მთავარია მოწადინება, ზრუნვა იმაზე, რომ ჩვენს შთამომავლობას გადაცეთ ის, რაც წინაპრებისგან მიგვიღია, — ჩვენი ერის ტრადიცია ყველა დარგში.

ახლა უკვე დიდი ყურადღება ექცევა თუშური ცხვრის მომრავლებას. ასეა გურჯაანის რაიონშიც. კაჭრეთის მეცხვარეობის მეურნეობას 14.350 სული ცხვარი ჰყავს. ეს შეიძლება მთიანი რაიონისათვის ცოტა იყოს, მაგრამ გურჯაანისათვის ნამდვილად ბევრია. მიუხედავად ამისა, უახლოეს წლებში ეს რიცხვი გაორმაგდება, ესეც შენი „მეორეხარისხოვანი“ დარგი!

მეურნეობის დირექტორი ფარვიზ ბაწელაშვილი, რომ იტყვიან, დღე და ღამე საქმეშია ჩაფლული, ანუ გზებზეა გაკრული. ამდენ ცხვარს, ბუნებრივია, ერთ ადგილზე ვერ ატრიალებ — საძოვარი არ ეყოფა, დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი და მისი დახედვაც ბევრი მანძილის გავლას მოითხოვს. დირექტორი კაბინეტის კაცი არ არის. ეს მარტო მისი მოძრაობა-მოუსვენრობით კი არ ჩანს, არამედ ტანსაცმლითაც. მოგეხსენებათ, საკაბინეტო ტანსაცმელი სხვაა, სამუშაო კიდევ სხვა.

ამბობენ, ერთხელ ნახვა სჯობია ათჯერ გაგონილსაო. ჭკვიანური ნათქვამია. მეც ამიტომ გვიმგზავრე საზამთრო საძოვრებზე კერძოდ, საბერეებში. სიტყვამ მოიტანა და საინტერესო ისტორიული ძეგლია საბერეები. საგულდაგულოდ დავთვალიერე და ზღვარი ვეღარ მოვუნახე სიხარულსა და სიმძიმეს. ეს კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი ჩვენი ისტორიული ბედის უკუღმართობას საკმაოდ დაუნგრევია, მაგრამ რაც გადარჩენილა, მკვეთრად უსვამს ხაზს მის მნიშვნელობასა და ღირებულებას. ვერ მოვიცალე, ვერ მოვახერხე ათანადო წიგნებში ჩახედვა; ამიტომ ამ ძეგლის ასაკიც არ ვიცი, ის კი ვიცი, დავით გარეჯის „ომპლექსში რომ შედის. ასე რომ, საკმაოდ ძველია და საინტერესო. ამიტომ ოფინარეულად პირუტყვის საკუთარი საკვებით უზრუნველყოფა დაისახეს ამ მიზნად. მეცხოველეობის კომპლექსის მახლობლად მწვანედ ბიბინებს 120 ჰექტარი შვრია, 70 ჰექტარი სამყურა, 40 ჰექტარი იონჯა, 60 ჰექტარი ბარდა. წელს 1500 ტონა მარტო სენაჟს ჩადებენ, დაასილოსებენ 80 ჰექტარი სასილოსე სიმინდის ნათესიდან მიღებულ 1.600 ტონა მასას. ასე, რომ გომელები პირუტყვის საკვების სხვადასხვა შეძენაზე მეურნეობის სახსრებიდან კაპიკსაც არ გაიღებენ და, როგორც მელი ბრიგადის საამაყო მაჩვენებლებს, ვისაუბრეთ ბრიგადირ მურმან ნადირაძეს, რომელმაც ხელისგულივით გადმოგვიშალა ჭეშმარიტად მამაცური შრომისა და დიდი გარჯის შედეგად მიღწეული წარმატებები.

ბრიგადის წევრთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში სახელმწიფოს მიჰყიდეს 12 ათას ცენტნერზე მეტი ბოსტნეული, ახალი ხუთწლედის 2 წლის განმავლობაში კი 2 წლის გეგმა უკვე შესრულებული აქვთ.

ახლა ჩვენი ბრიგადის წევრებმა გადავწყვიტეთ, რომ ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოს-ბრიგადირის ნაზო პეტრიაშვილის მაგალითისამებრ გავშალოთ წყვილთა სოციალისტური შეჯიბრება. ბრიგადის მშრომელებმა მტკიცედ ვივალდებულეთ, რომ ჩვენს ბრიგადასთან ერთად მოწინავეთა რიგებში ჩავიყენოთ მეზობელი, შედარებით ჩამორჩენილი ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა ბრიგადირი გულადი ნიკორაძე ხელმძღვანელობს. ყველა სასარგებლო ღონისძიებას განვახორციელებთ და მხარში ამოვიდგებით ამ საშვილო ბრიგადას, რათა მოწინავეთა რიგებში ჩავიყენოთ.

შ. ალიაზონიას ბრიგადის წევრები ქმაყოფილებით შეხვდნენ მეზობელი გომის საბჭოთა მეურნეობის მ. ნადირაძის ბრიგადის გამოწვევას. თავის მხრივ ვალდებულება იკისრეს კოლმეურნეობაში შედარებით ჩამორჩენილი პირველი ბრიგადა (ბრიგადირი ნინო რევაზიშვილი) ეძოლეს დროში აიყვანონ მოწინავეთა დონეზე.

ამ საინტერესო წყვილთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ის იქნება, ვინც თავის ბრიგადასაც და საშვილო ბრიგადასაც მოაპოვებინებს წარმატებებს. თუ ვინ გაიმარჯვებს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მაღალი შეფასების ვასუხად

საამშობლოს საპატიო ჯილდოები — ორდენები და მედლები — გადაეცა ჩვენი რესპუბლიკის ... ინდუსტრიის გაერთიანებების, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების ... შემუშავებაში, ინჟინერ-ტექნიკური ... შემუშავებისა და მოსამსახურეების ... ჯგუფს, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ საერთასთო პროგრამის ჩამოყალიბება-განხორციელებასთან.

ხუთშწლედის გვარდიელებს ორდენები და მედლები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. ... ილაშვილმა, რომელმაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ... ბინისტრთა საბჭოს სახელით გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა დიდი წარმატებები ... ხალხის საკეთილდღეო შრომაში.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემის მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ... ჯგუფი. დარგის მეწინავეებს ... ენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, ... ხალთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის", II და III ხარისხის შრომითი დიდების ორდენები და მედლები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილავლეთმა.

მან გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულებს და უსურვა ახალი წარმატებანი შრომაში. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ნიადაგ ვაუმჯობესებდეთ ... ამშენებლო სამეშაოთა ხარისხს, ოპტიმალურად ვიყენებდეთ შრომითს რესურსებს, რაც ხელს შეუწყობს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, თბილისში გამართული ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების წარმატებით შესრულებას.

მახარაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საქართველოს ექვსჯ რაიონის — მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, წულუკიძის, ვანისა და მაიაკოვსკის რაიონების მოწინავე მშრომელთა საზეიმო პატივგება.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარაიძემ დაჯილდოებულთ გადასცა სსრ კავშირის ორდენები და მედლები.

ამხ. ზ. ა. პატარაიძემ გულთბილად მიულოცა ყველა დაჯილდოებულს, გამოთქვა რწმენა, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელები კიდევ უფრო ენერგიულად იშრომებენ იმისათვის, რომ შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ თბილისში საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე გამოთქმული რჩევა-დარიგებანი, მითითებები და შენიშვნები.

(საქინფორმი).

წითელი ჯვრის დელეგაცია საქართველოში

8 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ მიიღო ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯიის წითელი ჯვრის საზოგადოებათა დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობენ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საბჭოს საკითხთა ყრილობაში.

ვ. მ. სირაძემ სტუმრებს გააცნო ქართველი ხალხის ისტორიული წარსული, რესპუბლიკის დღევანდელი მიღწევები ეკონომიკის, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობა.

სტუმრების სახელით გამოვიდნენ ვიეტნამის წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი, ერთგული კრების დეპუტატი ნგუენ ვან თუ, კამბოჯიის წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი, ერთგული კრების დეპუტატი ფლეფირონი და ლაოსის წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი, ეროვნული კრების დეპუტატი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ხამლინგ ფოლსენა, რომლებმაც მადლობა გადაიხადეს გულთბილი მასპინძლობისათვის. თავიანთი დელეგაციების სახელით მათ საქართველოს მშრომელებს მიულოცეს სახელოვანი იუბილე — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლის თავი.

შეხვედრას დაესწრნენ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. ოსტალაკი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ჰ. ჭიპაშვილი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ო. ცანავა.

(საქინფორმი).

გავაღრმაოთ ინტერნაციონალური კავშირურთიერთობა

თბილისში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების კულტურის სამინისტროთა სახვითი ხელოვნების სამმართველოების უფროსთა თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, კუბის, მონღოლეთის, ლაოსის წარმომადგენლები.

წინათ მსგავსი თათბირები გაიმართა უნგრეთში, პოლონეთსა და ბულგარეთში. მათ ხელი შეუწყვეს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კულტურათა შემდგომ დაახლოებას. ახლანდელი თათბირი დაიწყო მოსკოვში და სამი დღის შემდეგ მუშაობა განაგრძო თბილისში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების სამმართველოს უფროსმა ფ. ზონერმა, რომელმაც გახსნა თბილისის თათბირი, აღნიშნა, რომ თათბირის დასკვნითი ნაწილის გამართვა საქართველოში, უძველესი, თავისთავადი კულტურის რესპუბლიკაში, ახლანდელი შეხვედრის ყველა მონაწილისათვის სასიხარულო მოვლენა იყო. საქართველოს კულტურის დღევანდელი მიღწევების პირადი გაცნობა კიდევ უფრო გაუთქვამს. სახელ. რესპუბლიკას თქვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ჩვენი მხრივ, შემოგთავაზებთ სოციალისტური თანამეგობრობის ხალხების ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს.

თათბირზე გამოსულმა სოციალისტური ქვეყნების, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა, საქართველოს ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა აღნიშნეს, თუ რა აღმშენებლობითი ძალა აქვს მომძლეკულტურათა ურთიერთგამდიდრებას, დასახეს თანამეგობრობის ახალი მიჯნები. გადაწყვიტეს მოეწყოს სახვითი ხელოვნების ფესტივალები, შხატვრული შემოქმედების გაცვლითი გამოფენები და ექსპოზიციები.

თათბირზე შეიქმნა იმ წესდების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელს მოაწერენ შეხვედრის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები.

სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისი და მისი ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მცხეთაში და თელავში (საქინფორმი).

საკრებულოს ინფორმაციისთვის

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

ჯილდოები კოსმონავტებს

ბუქარესტი. რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოები გადასცა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს, სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს ლ. ი. პოპოვსა და საბჭოთა კავშირის გმირს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მკვლევარ-კოსმონავტს დ. პრუნარიუს. დაკისრებული მისიის წარმატებით შესრულებისა და კოსმოსური კვლევის პროგრამის განხორციელებისათვის მათ მიენიჭათ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის გმირის წოდება. უტეფორ ვლადიმერესკუს პირველი ხარისხის ორდენი გადაეცა კოსმონავტ-დუბლიორ დ. დედიუს მნიშვნელოვანი წვლილისათვის საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ერთობლივი კოსმოსური ფრენის მომზადება-განხორციელებაში.

ჯილდოების გადაცემის ცერემონიაზე გამოსვლისას ნ. ჩაუშესკუმ გულთბილად მიულოცა კოსმონავტების ეკიპაჟს მათი წვლილი კოსმოსური კვლევის განვითარებაში.

კოსმონავტებმა ლ. პოპოვმა და დ. პრუნარიუმ მხურვალე მადლობა გადაიხადეს მათთვის რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი წოდების — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის გმირის წოდების მინიჭებისათვის.

კოსმონავტებმა ნ. ჩაუშესკუს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

● ᲐᲨᲨ

უთანხმოებანი რჩება

დამთავრდა კ. შეინსონის ვიზიტი ვაშინგტონი. დამთავრდა საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის მინისტრის კ. შეინსონის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მან მოლაპარაკება გამართა პრეზიდენტთან რ. რეიგანთან, სახელმწიფო მდივანთან ა. ჰეიგთან და ამერიკის ადმინისტრაციის სხვა მაღალი თანამდებობის მოღვაწეებთან.

როგორც ა. ჰეიგმა განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში, მოლაპარაკების დროს ზოგადად განხილეს საერთაშორისო მდგომარეობა, ამასთან განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაზე, იმსჯელეს ნატოს პრობლემების, ევროკომუნიზმის, ევროპაში „დეტენტის" ბედის, ინდოჩინეთის, ავღანეთის, ახალი წარმატებანი შრომაში. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ნიადაგ ვაუმჯობესებდეთ ... ამშენებლო სამეშაოთა ხარისხს, ოპტიმალურად ვიყენებდეთ შრომითს რესურსებს, რაც ხელს შეუწყობს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, თბილისში გამართული ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების წარმატებით შესრულებას.

მახარაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საქართველოს ექვსჯ რაიონის — მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, წულუკიძის, ვანისა და მაიაკოვსკის რაიონების მოწინავე მშრომელთა საზეიმო პატივგება.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარაიძემ დაჯილდოებულთ გადასცა სსრ კავშირის ორდენები და მედლები.

ამხ. ზ. ა. პატარაიძემ გულთბილად მიულოცა ყველა დაჯილდოებულს, გამოთქვა რწმენა, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელები კიდევ უფრო ენერგიულად იშრომებენ იმისათვის, რომ შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ თბილისში საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე გამოთქმული რჩევა-დარიგებანი, მითითებები და შენიშვნები.

(საქინფორმი).

ᲬᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲔᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

● ᲑᲐᲜᲒᲚᲐᲓᲔᲨᲘ

ᲯᲣᲠᲜᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

დაკა. დამთავრდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯაო ძიანის ვიზიტი ბანგლადეშში. მანამდე იგი იწვია პაკისტანსა და ნეპალს.

დაკაში ჯაო ძიანის ვიზიტის განმარტებისას ადგილობრივი პოლიტიკური მიმმართველელნი ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ ვიზიტი მოეწყო სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ, რაც შეთქმულთა ხელით ტრაგიკულად დაღუპა ბანგლადეშის პრეზიდენტი ზიაურ რაჰმანი. აქ აღნიშნავენ, რომ მოგზაურობის მიზანი იყო „დაეჩქარებინათ" ბანგლადეშის მხარე, რომ ჩინეთს „ხელი არ ურევია" შეთქმულებში, რომელსაც ემსჯელა პრეზიდენტი, მაგრამ აქ კვლავ იკითა, რომ შეთქმულების მეთაურს გენერალ-მაიორ ა. მანზურს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქვეყნის სამხრეთში მოქმედ ჩინელ სპეკულანტებთან და ტერორისტულ მაოისტურ ორგანიზაციებთან.

● ᲘᲠᲐᲜᲘ

ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

თეირანი. ისლამურმა რევოლუციურმა პროკურატურამ გამოაცხადა, რომ განსაკუთრებულ შეტყობინებამდე დაიხურა რამდენიმე გაზეთი. მათ შორისაა ქვეყნის პრეზიდენტის ბანისადრის მომხრეთა ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „ინყილაბი ისლამი". ამ გამოცემათა დახურვა ასახავს ბოლო დროს ირანის ხელმძღვანელობაში გამწვავებულ უთანხმოებას. ამ უთანხმოებას, კერძოდ, იწვევს სახელმწიფოს ზოგიერთ ვაკანტურ ხელმძღვანელ პოსტზე ამა თუ იმ პირის დანიშვნის საკითხი. მას შემდეგ, რაც ბანისადრმა ყარი თქვა დაემტკიცებინა პრემიერ-მინისტრ რაჯაის მიერ წამოყენებული და პარლამენტის მიერ მოწონებული კანდიდატურები, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს განსახილველად წაროდგინეს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის მეთაურისათვის ისეთი უფლების მინიჭებას, რომ მას თვითონ შეეძლოს ვინმეს დანიშვნა, თუ პრეზიდენტი 5 დღის მანძილზე არ ეწინააღმდეგება პარლამენტის გადაწყვეტილებას.

● ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲘ

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲘᲤᲣᲨᲐ

სან-ხოსე. აქ მოსული ცნობების თანახმად, სალვადორის ხუნტის არმიის ქვეგანაყოფებმა წამოიწყეს დიდი დახჯითი ოპერაცია, რათა პარტიზანებს დაეტოვებინათ მათ მიერ დაკავებული პოზიციები სან-ვიხენტეს, საკატეკოლუკახა და სან-მიგელის დეპარტამენტებში. ინტენსიური საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს სან-სალვადორიდან 68 კილომეტრზე ჰინნონტეპეკის ვულკანის მახლობელ ვრცელ ზონას. მაგრამ ამ ოპერაციამ ხუნტას წარმატება ვერ მოუტანა.

● ᲔᲠᲐᲧᲘ

მუხანათური აქტი

ბაღდადი. როგორც ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭოს განცხადებაშია ნათქვამი, 7 ივნისს 18 საათსა და 37 წუთზე ადგილმრიცი დროით ისრაელის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ბაღდადს, რათა დარტყმა მიეყენებინათ ერაყის ბირთვული ობიექტებისათვის.

განცხადებაში აღნიშნული არ არის თავდასხმის შედეგები და ბირთვული კომპლექსისათვის მიყენებული ზარალის ოდენობა.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ისრაელმა 7 ივნისს მოახსენა რ. რეიგანის ადმინისტრაციას ერაყში ატომურ რეაქტორზე თავდასხმის ამბავი. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რ. ფიშერმა აღნიშნა, რომ, არსებული მონაცემებით, ისრაელმა ერაყზე თავდასხმისათვის გამოიყენა შეერთებული შტატების მიერ მიწოდებული თვითმფრინავები.

ნიუ-იორკი. ერაყმა თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სასწრაფოდ მოიწვიოს სხდომა, რათა განიხილოს საკითხი „ერაყის წინააღმდეგ ისრაელის უხეში აგრესიული აქტის შესახებ, რომელსაც შეიძლება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის მძიმე შედეგები მოჰყვეს".

„საერთაშორისო გაერთიანებამ არ შეიძლება დუმილით აუაროს გვერდი ისრაელის აგრესიის ამგვარ სეროიზულ ესკალაციას", — ნათქვამია ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ჰამადის წერილში. ამიტომ უშიშროების საბჭო დაუყოვნებლივ უნდა შეიკრიბოს ეფექტიანი ღონისძიებების მისაღებად.

ᲫᲘᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲬᲘᲚᲘᲡ!

სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციასთან (სვაპო) სოლიდარობის კამპანია, ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივი მინიჭებისათვის ბრძოლა ამ ანტიიმპერიალისტური მოძრაობის შემადგენელი ნაწილია, რომელიც სულ უფრო ძლერდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ქვეყნის ბევრ ქალაქში გაიმართა დემონსტრაციები ნამიბიელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად, თეთრი სახლის იმ კურსის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აპარტეიდის რეჟიმთან კავშირურთიერთობის განმტკიცებას და ნამიბიის ტერიტორიის უკანონო ოკუპაციის გაჭიანურებას.

სურათზე: რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ ბოიკოტის მხარდასაჭერად პეტიციის ხელმოწერის შეგროვება ნიუ-იორკში გამართული დემონსტრაციის დროს.

ᲐᲓᲜ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ

ᲐᲚᲒᲐᲪᲔᲑᲐᲡ ვერ დავფარავ მონღოლეთის უკიდეგანო ველების შემყურე. ეს მშვენიერებით აღსავსე თავისებური საოცრებაა! ამ ცოტა ხნის წინათ გახლდით ამ ქვეყანაში როგორც ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის მუშაკთა დელეგაციის ხელმძღვანელი. მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის XVIII ყრილობასთან დაკავშირებით ულან-ბატორში ვ. ი. ლენინის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა. ეს მუზეუმი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

მონღოლი ხალხი მარადიულ ყამარ მიწებს თვისებს. თვალუწვდენელ ველებში გაჰყავს რკინიგზის მაგისტრალები, გზატკეცილები, აშენებს ახალ ფაბრიკა-ქარხნებს...

ქვეყანა უზარმაზარ სამშენებლო მოედანს ჰგავს. ჩვენი ქვეყნის დახმარებით უკანასკნელ ხანს აშენდა სახალხო-სამეურნეო დანიშნულების 250-მდე სხვადასხვა ობიექტი. სწორაფი ტემპით განვითარდა სოფლის მეურნეობა. ამჟამად მონღოლეთი მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების მხრივ. არნახულ დონეს მიაღწია მიწათმოქმედებამ. გრანდიოზული ღონისძიებები განხორციელდა საბინაო მშენებლობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის განვითარებისათვის...

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის უდიდესი გამარჯვებაა კოსმონავტი-მკვლევარის ჟ. გურაგჩას გმირობა. კოსმოსიდან პირდაპირი სატელევიზიო გადაცემების დღეებში, იმ სოფელში, სადაც კოსმონავტი იზრდებოდა, ერთ ოჯახში დაიბადა სამი ტუუპი: ორი გოგონა და ბიჭი, რომლებსაც მშობლებმა ოდმაა, ოჩმაა და სანსარი დაარქვეს, რაც ქართულად „ვარსკვლავს", „ნაპერწკალს" და „კოსმოსს" ნიშნავს. ეს სახელები მშობლებს იმ დღეების სიხარულით სავსე გულმა უკარნახა, როცა მათი თანამემამულე კოსმოსში დაფრინავდა.

მონღოლი კოსმონავტის გაფრენამ მის თანამემამულეთა შეგნებაში შეცვალა ტრადიციული წარმოდგენა დროსა და სივრცეზე. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მუყმესი საკუთარი აჩრდილის მიხედვით განსაზღვრავდა ჯოგის შინ გარეკვის დროს. იგი მთელი სიცოცხლე მხოლოდ ერთ ტერიტორიაზე მომთაბარეობდა და არც იცოდა, თუ არსებობდა სხვა ცხოვრება ჰორიზონტს იქით.

„სკობს დაიბადო ქვად, ვიდრე ქალად"... ეს ძველი ადმოსავლური თქმა მონღოლეთში ახალმა ცხოვრებამ გააბათილა. მონღოლი ქალი დღეს მეცნიერი, ექიმი, პოეტი, მასწავლებელი და მსახიობია, იგი ახალი ცხოვრების აქტიური მშენებელია. მონღოლი ქალები დღეს მფრინავებიც არიან... ცხოვრებაში ისეთი უზარმაზარი ნახტომი გაკეთდა, რომ ერთბაშად უკან დარჩა საუკუნეები.

თუ დაპკვირვებიხართ, მოსკოვში, სასტუმრო „მეტროპოლის" შენობაზე გაკრულია მემორიალური დაფა: „ამ შენობაში 1921 წლის ნოემბერში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და მონღოლეთს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ, რომელშიც მონაწილეობდა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიისა და სახალხო სახელმწიფოს დამაარსებელი დ. სუხე-ბატორი".

ამ მოლაპარაკების შემდეგ 1921 წლის 5 ნოემბერს ორ ქვეყანას შორის დაიდო მეგობრობის პირველი ხელშეკრულება, და ეს დიდი მეგობრობა დღითი დღე მტკიცდება. ულან-ბატორში, ვ. ი. ლენინის მუზეუმში სათუთად ინახავენ ამ ისტორიულ დოკუმენტს.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყანაში რევოლუციამ გაიმარჯვა. ეს იყო პირველი, ნამდვილად სახალხო რევოლუცია აზიაში. გამოცხადდა მონღოლეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა და ეს ქვეყანა აღმოსავლეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების ჩირაღდნად იქცა.

მონღოლეთის . ჩრდილოეთში არის პატარა ქალაქი ალტან-ბულაკი, რაც „ოქროს წყაროს" ნიშნავს. დღეს სიმბოლურად ეღერს მისი სახელწოდება, 1921 წლის 18 მარტს სწორედ აქედან დაიწყო რევოლუციის ძლევამოსილი მსვლელობა სუხე-ბატორის მეთაურობით, რომელმაც გაანადგურა ჩინელი მილიტარისტები და გაათავისუფლა ქალაქი მაიმაჩანი, დღევანდელი ალტან-ბულაკი. „ოქროს წყაროს" აღებით ოქროს ხანა დაიწყო მონღოლეთში.

იმ დაუვიწყარი ისტორიული დღეების მოსაგონებლად შემონახული ძველური სახლი, სადაც აჯანყების შტაბი იყო დაბანაკებული. ახლა იქ სუხე-ბატორის მუზეუმია. უამრავი ხალხი მოდის მის დასათვალიერებლად.

ბეგრია მომსწრეა მონღოლეთის დედაქალაქი ულან-ბატორი. იგი 1639 წელს დაარსდა მდინარე ტოლის ხეობაში, მაგრამ დღევანდელობა ახლანდელი ზღაპარია მის ისტორიაში. დედაქალაქის ოთხკუთხედ ცენტრალურ მოედანზე, რომელიც სუხე-ბატორის სახელობისაა, დგას მონღოლეთის სახალხო რევოლუციის ბელადის ძეგლი. გრანიტის ლოდზე ეხედავთ მხედარს, რომელსაც მაღლა აღუმართავს ხელი, მახლობად კი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დიდებული მონუმენტია დადგმული. სწორედ ისინი, ორივე, ასე ერთად იდგნენ სახალხო მონღოლეთის დამოუკიდებლობის აკვანთან. მონღოლეთში დიდ პატივს სცემენ საბჭოთა ხალხს, დიდად აფასებენ მის ძმურ დახმარებას. დიდად პოპულარულია გ. ჟუკოვის მუზეუმი, ქალაქში დგას ი. ბ. სტალინის მონუმენტური ძეგლი.

მშვიდობიან შემოქმედებითს წელებსა თუ ომის მრისხანე დღეებში ჩვენი ხალხები ყოველთვის ერთად იყვნენ, ერთი მიზნით ცხოვრობდნენ და ღვიძლი ძმებივით მხარში ედგნენ ერთმანეთს. ამიტომაც არ ივიწყებენ მონღოლეთში 1921 წლის გმირულ დღეებს, როცა საერთო ძალებით შევმუსრეთ მონღოლი ხალხის მტრები, გუშაგი, მასზე დადგმული ძეგლი საბჭოთა მეომრებისა, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს მონღოლი ხალხის თავისუფლებას 1921-1939 და 1945 წლებში.

არ გვიგულება ადამიანი, რომელსაც იმდენი რამ გაეკეთებინოს მონღოლი ხალხისთვის, მისი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, რამდენიც დიდმა ლენინმა გააკეთა. და ამიტომაც მისი ხსოვნა მარად ცოცხლობს ხალხის გონებასა და გულში.

საბჭოთა მთავრობამ 70 ხალხნეოელს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა, ხოლო მფრინავებს ს. გრიცევეცს, ი. სმუშკევიჩს, გ. კოვეჩენკოს საბჭოთა კავშირის გმირის მეორე ოქროს შედალი გადაეცათ.

როცა მონღოლეთი უკვე მოვიარეთ, ერთ-ერთ შეხვედრაზე მკითხეს.

— მონღოლეთში პირველად ბრძანდებით?

— სამწუხაროდ, კი, — ვუპასუხე.

—ჩვენი ხალხი დიდსულოვანი და გულწრფელია. საბჭოთა ხალხს იგი განსაკუთრებით გულითადად ეკიდება, ამას თვითონ ვგრძნობდით.

ჭეშმარიტი სიტყვებია. მართლაც სიტყვა „საბჭოელი" ჩვენთვის თავისებური გზამკვლევი იყო ხალხთა გულისაკენ. გაიგებდნენ თუ არა, რომ საბჭოთა ადამიანები ვიყავით, განსაკუთრებით კარგად გვხვდებოდნენ და გვეხვეოდნენ. ჩვენი ხალხი უყვართ მონღოლებს, უყვართ გულწრფელად და გზნებით.

„ბაგში" (მასწავლებელი), — ასე ეძახიან საბჭოთა ადამიანს ამ ქვეყანაში. ეს სახელი საბჭოთა ადამიანს შეარქვეს ჯულითადობისა და უანგარობისათვის. იგი ხომ ყოველთვის მზად არის დაეხმაროს, თავისი ცოდნა, გამოცდილება გაუზიაროს მომმეს. მონღოლეთში დღეს ბევრი საბჭოთა ადამიანი შრომობს. ისინი პირნათლად ასრულებენ მეგობრულ, ინტერნაციონალისტურ მისიას.

— საბჭოთა სპეციალისტების დაუხმარებლად ვერ მივაღწევდით ამას, რასაც მივაღწიეთ. და ჩვენც მაღლა და მტკიცედ გვიჭირავს სიყვარულის, ძმობისა და შრომის წმიდათაწმიდა დროშა.

ხშირად გვესმოდა ეს სიტყვები მონღოლეთში ყოფნის დროს. მონღოლი ხალხი არ ივიწყებს ჩვენი ხალხის საბრძოლო დახმარებას. ახლა ახალი მეგობრობის მატიანე შრომის ველზე იწერება. ერთ-ერთი ჰიდროელექტროსადგურის მუშამ კარგად თქვა: „1921 წელს ლენინმა მოგვცა თავისუფლება, შემდეგ კი სინათლე".

დიახ, „საბჭოთა" კავშირმა მონღოლეთს სინათლე მისცა. გოლიათური ნაბიჯით მიიწევს წინ ქვეყნის ენერგეტიკა. 1921 წელს ულან-ბატორში იყო ერთი პატარა ელმანქანა, შემდგომ მწყობრში ჩადგა რამდენიმე თბოელექტროსადგური. არა მარტო ქალაქებმა, არამედ სოფლებმაც მიიღეს ელექტროენერგია. ყველა თბოელექტროსადგური საბჭოეთის დახმარებით აშენდა.

წარმოუდგენელია მონღოლეთი უჩაიხანოდ. ეს ერთდროულად კლუბიც არის, სასადილოც და ლექტორიუმიც. მოსწონთ აქ ჩვენი ქართული მწვანე ჩაი... უყოველესად პოპულარულია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა; ქალაქის ყველაზე დიდ წიგნის მაღაზიაში ტოლსტოის და პუშკინის სურათების გვერდით ეკიდა რუსთაველის სურათი. „ვეფხისტყაოსანი", რომელიც მონღოლურ ენაზე რამდენიმე წლის წინათ გამოიცა, ერთ-ერთი პოპულარული წიგნია ქვეყანაში.

...ვტოვებდით ჩვენს გულითად ერთგულ მეგობრებს, თვითმფრინავი თანდათან მაღლა-მაღლა მიიწევდა. შორიდან ჩანდა წითელი ვარსკვლავით დამშვენებული მონუმენტი, რომელსაც ელვარე მზე ანათებდა. ვემშვიდობებოდით ქვეყანას, სადაც წელიწადში 240 დღე მზიანია!

ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ, ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ

ᲡᲐᲛᲝᲪᲘ წლის მანძილზე მეცნიერებამ საბჭოთა საქართველოში არნახული აყვავება განიცადა. კიდევ უფრო განვითარდა ჩვენი ქვეყნისათვის ტრადიციული მეცნიერული დარგები, ჩაისახა და აღორძინდა ახალი დარგები, რომელთა რიცხვს ეკუთვნის, კერძოდ, მათემატიკა და მექანიკა. მათემატიკური დრეკადობის თეორია უფუძდამენტი გახდა იმ სკოლისა, რომელიც ქართული მათემატიკური მეცნიერული სკოლის სახელით არის ცნობილი მთელ მსოფლიოში და რომლის ფუძემდებელი და სულისჩამდგმელი იყო ნიკოლოზ მუსხელიშვილი; ამ სკოლის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი გახლდათ აკადემიკოსი ილია ვეკუა; ამავე სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე.

ჯერ 1968 წელს თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში, და შემდეგ, 1976 წელს, მოსკოვში, გამომცემლობა „მეცნიერებაში" რუსულ ენაზე დაიბეჭდა ვ. კუპრაძისა და მისი მოწაფეების (თ. გეგელია, მ. ბაშელეიშვილი, თ. ბურკუნაძე) ძიებების ასეთივე გამოკვლევა ჯერ, სასიამოვნო გარემოებად უნდა ჩავთვალოთ, რომ ამ რთულ საქმეშიც პირველი სიტყვა ქართველმა მკვლევარებმა თქვეს.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც თავის დროზე სივრცული ამოცანების სისტემატურ შესწავლას მოჰკიდა ხელი, ვ. კუპრაძე იყო. შემდეგ მას მხარში ამოუდგნენ მოწაფეებიც, უწინარესად თ. გეგელია, მ. ბაშელეიშვილი (ა თ. ბურკუნაძე. 50-იანი წლების მიწურულში აღნიშნული მიმართულებით ხასიათი მიიღო და სწორედ ეს მუშაობა აისახა ოთხი ავტორის მონოგრაფიულ ნაშრომში „მათემატიკური დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები", რომელიც პირველად 1968 წელს გამოვიდა. საკავშირო ჟურნალების ფურცლებზე („გამოყენებითი მექანიკა", „დიფერენციალური განტოლებები") გამოცემას მაშინვე გამოეხმაურნენ ავტორიტეტული საბჭოთა სპეციალისტები.

ა. ლურიე, გ. სავინი და ი. ვოროვიჩი წერდნენ, რომ სარეცენზიო წიგნის ძირითად შინაარსს შეადგენს სივრცული ამოცანების პრინციპ

კულტურის ახალი კერა

ახალქალაქი. იმ განსაკუთრებული ყურადღების შედეგად, რომელსაც ამ ბოლო დროს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები იჩენენ სამხრეთ საქართველოს მაღალი მთის რაიონებისადმი, ჩეშმარიტად აღორძინების გზას დაადგა უძველესი კულტურის მხარე ჯავახეთი.

მთლიანად იცვალა სახე რაიონულმა ცენტრმა ახალქალაქმა, რომლის ფართო და ლამაზ ცენტრალურ ქუჩებს ზემოდან ამაყად გადმოჰყურებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სამრეწველო საწარმოები, ბაღაზია-პავილიონები, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ობიექტები, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები.

და აი, მათ რიცხვს შეემატა კიდევ ერთი უნიკალური ნაგებობა — მწვანე გრანიტითა და თეთრი ეკლარის ქვით მოპირკეთებული, ქეთილმწყობილი ახალი კულტურის სასახლე, რომლის წინ აღმართულია ვ. ი. ლენინის ძეგლი.

კულტურის ამ ახალი კერის დიდი დარბაზი, რომელიც თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა მოწყობილი, 600 მაყურებელს იტევს, ხოლო მის უზარმაზარ მბრუნავ სცენაზე შეუძლია შეუფერხებლად გამოიყენოს ნებისმიერი თეატრალური კოლექტივი თუ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

კულტურის სასახლეს აქვს აგრეთვე 200-ადგილიანი მცირე დარბაზი, ფართო და ნათელი ფოიე, სამეუშაო ოთახები სხვადასხვა მხატვრული წრეების, სექციებისა თუ ადმინისტრაციისათვის და სხვა.

რაიონის მშრომელებს ეს მართლაც ძვირფასი საჩუქარი მოუმზადეს კულტურის სამინისტრომ და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის № 18 მოძრაკი მექანიზებული კოლონის მშენებლებმა.

შაბათს, 6 ივნისს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი კულტურის სასახლის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ მეზობელი რაიონების — ახალციხის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ადიგენის მშრომელთა დელეგაციები, სტუმრები რესპუბლიკის დედაქალაქიდან, მოძმე სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან და უნგრეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

რაიონის მშრომელთა სახელით პარტიისა და მთავრობისადმი, მშენებლებისადმი აქ მრავალი გულთბილი სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა.

დასასრულ ანსამბლ „ორერასა“ და რესპუბლიკის საიუბილეო ოლიმპიადის ლაურეატის, ახალქალაქის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ კომპოზიტორი ვ. აზარაშვილი, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო არტისტები ვ. კიკაბიძე და მ. მკრტჩიანი.

კულტურის ამ ახალი კერის ჩერქვნენ დიდხანს გაისმოდა ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა მოძმე რესპუბლიკების თუ მსოფლიოს ხალხთა სიმღერების ძმობაზე, მეგობრობასა და მშვიდობაზე.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ახალქალაქის რაიონული კულტურის სახლის ახალი შენობა.

ვ. ჩერკასოვის ფოტო.

სატურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. ლატვიის ქალაქ იურმალაში დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა შეჯიბრება. ქალთა ერთეულების თახრიგში გაიმარჯვა დოხეკაელმა ე. ელისეენკომ (ფინალში დაამარცხა ბოსკოველი ო. ზაიცევა — 6:2, 6:1), ვაჟთა ერთეულების თანრიგში — დონის როსტოველმა ა. ზავგოროდნიმ (დაამარცხა კიეველი ო. გავრილოვი — 6:3, 6:1). ქალთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ელისეენკო და ზაიცევა, ვაჟთა წყვილებში — მოსკოველი ე. ალზდხიაკოვი და კიეველი ი. ფილიოვი, მერეულთა თანრიგში — მოსკოველები ს. ჩერნეკა და კ. პუგაევი.

მძლეოსნობა. ბრატისლავაში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში ლენინგრადელმა ტ. ანისიმოვამ გაიძარჯვა 100 მეტრზე თარჯრბენში — 12,86 წამი, მოსკოველმა ი. ნაზაროვამ — 400 მეტრზე რბენაში — 52,44. ბულგარელმა მოსწავლემ ა. ტოდოროვამ სოფიაში შუბი ტყორცნა 69,66 მეტრზე და იუბილიოთა შორის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ნეაპოლში სეზონის საუკეთესო შედეგით დაამთავრა შეჯიბრება უ. მეიფარტმა (გფრ). მან სამაღლეზე ხტომაში 194 სანტიმეტრი დაძლია.

ფეხბურთი. ტულონში გრძელდება ახალგაზრდული გუნდების (21 წლამდე ასაკის მთამაშეებს შორის) საერთაშორისო ასპარეზობა. სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც „ა“ ქვეჯგუფში გამოდის, დაამარცხა პორტუგალიის გუნდი — 4:1. მანამდე საბჭოთა ფეხბურთელებმა მოუგეს იტალიელებს (2:1). ამ ჯგუფში 4-4 ქულით ლიდერობენ ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის გუნდები. „ბ“ ქვეჯგუფში გამართული მორიგი მატჩების შედეგები ასეთია: ჩეხოსლოვაკიესპანეთი — 2:1, საფრანგეთი-კოლუმბია — 1:0. აქ 4 ქულით ლიდერობს საფრანგეთის ნაკრები.

მეთხუთმეტე ტური

დღეს „ტორპედოსა“ და „ზენიტის“ ფეხბურთელთა მატჩით იწყება უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტური.

ხვალ „შახტიორი“ მიიღებს „ფახთაქორს“, „დნეპრი“ — „ყაზარათს“, კიევის „დინამო“ — მოსკოვის „დინამოს“, „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკს“, „ყუბანი“ — „არარატს“, ცსკა — მინსკის „დინამოს“, „ტავრია“ — **თბილისის „დინამოს“.**

ჯარიმა 2500 დოლარი

ახლახან საფრანგეთის ღია ჩემპიონატის პირველსავე წრეში ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელმა ელიოტ ტელჩერმა თავისებურად „ისახელა თავი“: იგი დამარცხდა და ამით გამწარებულმა მსაჯზე იყარა ჯავრი, შეჯიბრების არბიტრი პატრიკ ფლოდროფსი გამოლანძღა და მუჯლუგუნთაც გაუმასპინძლდა. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა შეისწავლა ეს ინციდენტი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ფილიპ შატრიემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტმა ტელჩერი 2500 დოლარით დააჯარიმა. აღსანიშნავია, რომ წინათ ასეთი სანქცია მიეღიათ მეორე ამერიკელი სპორტსმენის — ჯიმი კონორსის მიმართ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

მეგობრობის დღესასწაული

დამთავრდა მეგობრობის საგაზაფხულო დღესასწაული — ამიერკავკასიის ახალგაზრდა კომპოზიტორთა მუსიკის ფესტივალი. 5 ივნისს ბაკოში დაიხურა ეს თავისებური მუსიკალური დათვალიერება, რომელმაც გაგვაცნო ახალი სახელები, ახალგაზრდა ნიჭიერი შემსრულებლები. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპოზიტორთა სკოლები ხუთი დღის მანძილზე გვაცნობდნენ თავიანთი წარმომადგენლების წარმატებებს, მათს შემოქმედებითს შემართებას. ფესტივალის კონცერტებზე მოსმენილი კამერული, სიმფონიური და საესტრადო მუსიკის მრავალ ნაწარმოებს შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია მოზრდილი ფორმის თხზულებებმა — სიმფონიებმა, რომელთა ავტორები არიან ჯ. აბასოვი, ჯ. ამიროვი, რ. რუსტამზადე, გ. ჯაფარიძე, შ. შილაკაძე; ე. მამედოვის ზოსტაკოვიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილმა „დიალოგებმა“, ი. ბარდანაშვილის კონცერტმა გიტარისათვის და სხვ. ისინი წარმოადგინეს კამერულმა ორკესტრებმა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ნაზი რზაევისა და კომპოზიტორ შავლეგ შილაკაძის ხელმძღვანელობით, აგრეთვე სოლისტებმა. ფესტივალის მონაწილეებმა გამართეს შემოქმედებითი კონფერენცია, განიხილეს მოსმენილი ნაწარმოებები, გაეცნენ კლასიკური აზერბაიჯანული მუღამების ნიმუშებს.

შეფასება რა ქართველ კოლეგების მუშაობა, აზერბაიჯანის კომპოზიტორთა კავშირის მდივანმა აქშინ ალიზადემ თქვა:

— ქართველ კომპოზიტორთა სკოლას, რომელმაც ბევრი გამოჩენილი ხელოვანი გაზარდა, სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი ახალი თაობით. მსმენელთა ყურადღება მიიპყრო ხუთივე ქართველი ავტორის ნაწარმოებებმა, კერძოდ, გერმანე ჯაფარიძის კამერულმა სიმფონიამ, იოსებ ბარდანაშვილის კონცერტმა გიტარისათვის — საკმაოდ იშვიათმა თხზულებამ, რომელშიც ავტორმა ფაქიზი გემოვნებით შეძლო ორგანულად შეერწყა ერთმანეთისათვის სოლო ინსტრუმენტისა და ორკესტრის პლეიფიკა.

და თუმცა, ქართველ ავტორთა ნაწარმოებები სხვადასხვა სტილითა და მანერით არის დაწერილი, მათ ყველას აერთიანებს მამული, მშობლიური ხელოვნების საყვარული.

მეიერკავკასიის ახალგაზრდა კომპოზიტორთა მუსიკის მომდევნო ფესტივალი გაისად თბილისში გაიმართება.

(აზერინფორმ-საქინფორმი).

პრემიერა

„კუკარაჩა“ თელავის სცენაზე

თელავი. (საკ. კორ. დ. გერგიშვილი). მერცხლების გუნდის შემოფრენას შეადარა ფილაველმა მაყურებელმა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფის ჩამოსვლა მათ თეატრში. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა, რომელნიც განაწილებული არიან აქ სამუშაოდ, ავანსად სიხარული მოუტანეს თელაველებს სადიპლომო სპექტაკლით „კუკარაჩა“ (ნ. დუმბაძის მოთხრობის მიხედვით).

ინსცენირების ავტორია დამდგმელი რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ქუთათელაძე, მხატვარი — გ. გეგეჭკორი, ქორეოგრაფი — ნ. გაბუნია.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ახალბედა მსახიობებმა გ. ჩოთალიშვილმა (კუკარაჩა), ნ. ქემაშვილმა (ინგა), ზ. კოლელიშვილმა (მურტალო), ნ. კუტანიძემ (ქალბატონი ანიკო), ზ. ლომიძემ (დავითი), ა. ბასილაიამ (გაბო), გ. მოდებაძემ (ისხაკა).

მათ კარგი პარტნიორობა გაუწიეს თელავის დრამატული თეატრის მსახიობებმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ო. შუბითიძემ, მსახიობებმა ვ. ფეიქრიშვილმა, მ. თეგაძემ, რ. ბუჭუყურაშვილმა, ზ. ანთელავამ.

„კუკარაჩა“ დამკვიდრდა თელავის დრამატული თეატრის რეპერტუარში.

გაგი მიიღო ბოდბისხევმა

სიღნაღი, 8 ივნისი. (საქინფორმი). ორი სასიხარულო მოვლენა აღნიშნეს გასულ კვირას სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. აქ კოლმეურნეობას გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ბოდბისხეველები დაჯილდოვდნენ მეათე ხუთწლედში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაღიდებლად გაჩაღებულ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. გარდა ამისა, სოფელმა მიიღო ბუნებრივი გაზი.

სოფლის ცენტრალურ მოედანზე დადგმულ ტრიბუნასთან შუადღისას შეიკრიბნენ თბილისიდან და მეზობელი სოფლებიდან, რაიონული ცენტრიდან ჩამოსული სტუმრები. ბოდბისხეველებს დიდი შრომითი წარმატება მიეღოცეს საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ბუჩუკურმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ბ. ლობჟანიძემ, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. ნაცვლიშვილმა, მემცენარეობის აგროგანყოფილების გამგემ ა. ბოძოლიშვილმა, მევენახე ა. ჭაბაშვილმა, მემცენარეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ჯ. ტუხაშვილმა, მოსწავლე ხ. გოზალიშვილმა, საშუალო სკოლის დირექტორმა გ. ჭაბაშვილმა და სხვებმა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. გელაშვილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას მადლობა გადაუხადა ბოდბისხეველთა შრომის დიდად დაფასებისათვის, აღნიშნა გაზსადენის შშენებელთა თავდადებული შრომა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს გურჯაანის სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა რეკორდულად მოკლე დროში — ოთხ თვეში გაიყვანა წყორ-ბოდბისხევის შიდაკილომეტრიანი გაზსადენი.

ჩვენი ცნობარი: განცხადება, რეკლამა, ინფორმაცია

გზიწვევთ სასწავლებლად!

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1981-1982 სასწავლო წლისათვის:

მანქანათმშენებლობის, სამშენებლო, სამონტაჟო, სამშენებლო მასალების, მეტალურგიის, ქვანახშირის, სამთო, ქიმიური, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებელი, ელექტრონული, რადიოტექნიკური, მსუბუქი, პოლიგრაფიის, კვების, ხორცისა და რძის, თევზის მრეწველობის, ავტოტრანსპორტის, საზღვაო ფლოტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, მეცხოველეობის, სოფლის მეურნეობის, მექანიზატორისა და სხვა პროფესიებზე საბალო მეურნეობის ყველა დარგისათვის.

მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებელი, ელექტრონული და რადიოტექნიკური მრეწველობის პროფესიებში კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

თბილისის №№ 5, 6, 26, 32, 38, 49, 51, 60, 79, 95, 97, 132, 133, 140, 150; **ბათუმის** № 1, **ქუთაისის** №№ 4, 33, 112, 145, **სოხუმის** № 58, **წულუკიძის** № 8, **ფოთის** №№ 12, 135, **მაიაკოვსკის** № 69 საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ დიპლომს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი პროფესიის დაუფლების შესახებ, ფართო პროფილის ხარატის, პროგრამული მართვის ჩარხების ოპერატორის, მღარავის, ზეინკალ-ამწყობის, ზეინკალ-შემკეთებლის, ელექტროზეინკალის, ელექტრომონტიორის, ელექტროშემდუღებლის, ზეინკალ-ელექტრომემონტაჟის, მტვიფრავის, მიკროსქემების ამწყობის, ტექნოლოგიური მოწყობილობათა გამმართველის, რადიოაპარატურის მარეგულირებლის, ამწყობის, რადიომექანიკოსის და სხვა.

მანქანათმშენებლობის პროფესიებზე ცხადდება აგრეთვე მოსწავლეთა მიღება **თბილისის** № 123 და № 125 საღამოს (ცვლიან) პროფტექნიკურ სასწავლებლებში წარმოებას მოუწყვეტლივ.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლებლების კურსდამთავრებულები სამუშაოდ ძირითადად იგზავნებიან საბაზო ორგანიზაციებში, როგორიც არის: თბილისის საავიაციო, ელმავალსაშენებელი, ჩარხთსაშენებელი, ელექტროვაგონშემკეთებელი, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის, ფერადი ტელევიზორების, ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ქარხნები, „ელექტროაპარატი“, „მეონი“, „ელვა“, „ანალიტხელსაწყო“, ბათუმის გემთსაშენებელი და მანქანათსაშენებელი, ქუთაისის ავტო და ელექტრომექანიკური, სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკური, ფოთის გემშემკეთებელ-გემმშენებელი და სხვა ქარხნები, გაერთიანებებსა და სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაციებში.

სამშენებლო, სამონტაჟო, ხის დამუშავების, ენერგეტიკის, საშენ მასალათა, ქვანახშირის და სამთო მრეწველობის პროფესიებში კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

თბილისის №№ 11, 18, 26, 54, 60, 63, 71, 108, 110, **ქუთაისის** №№ 21, 143, **ბათუმის** №№ 44, 105, **სოხუმის** №№ 45, 58, **ცხინვალის** № 78, **ბორჯომის** № 7, **რუსთავის** №№ 17, 61, 142, **ტყიბულის** №№ 19,136, **ჭიათურის** №№ 20, 129, **ტყვარჩელის** № 22, **ზზოფის** № 113, **კასპის** № 148, **მადნეულის** № 25, **სამტრედიის** № 28, **სახელიოს** № 46, **გარდაბნის** № 47, **ზუგდიდის** № 62, **ვანის** № 68, **მარნეულის** № 70, **თერჯოლის** № 87, **მცხეთის** № 89, **ცხაკაიას** № 139, **ზესტაფონის** № 142 საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ დიპლომს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი პროფესიების დაუფლების შესახებ: მღებავის, მლესავის, კალატოზის, მომპირკეთებლის, დურგლის, ხუროს, ელექტრომემონტაჟის, ელექტროშემდუღებლის, ზეინკალ-სანტექნიკოსის, გვირაბგამყვანის, ექსკავატორის, ბულდოზერის, კოშკურა ამწის, ავტოამწის მემანქანისა და სხვა.

სამშენებლო პროფესიების შესასწავლად წარმოებას მოუწყვეტლივ ცხადდება მოსწავლეთა მიღება აგრეთვე **თბილისის** № 100 საღამოს (ცვლიან) პროფტექნიკურ სასწავლებელში.

ზემოთჩამოთვლილი სასწავლებლების კურსდამთავრებულები სამუშაოდ განაწილდებიან: საქართველოს სსრ მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, ხის დამუშავების, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების, საქმთავარმონტაჟსპეცმშენის, საქენერგოს, ენგურჰესმშენის, კავკაზელექტროქიმშენის, ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის, თბილისგვირაბმშენის, საქნახშირის, ჭიათურის სამთომადნო, მადნეულის სამთომამდიდრებელ კომბინატებსა და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, საკვების დამზადების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ექსპლოატაციის პროფესიებში კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

ენისელის № 2, **წულუკიძის** №№ 9, 96, **გარდაბნის** №№ 10, 121, **ველისციხის** № 13, **სოფლის** № 14, **ხიდისთავის** №№ 15, 106, **ნოტახევის** № 30, **ქარელის** № 40, **სახერიოს** № 46, **გალის** №№ 60, 102, **მახარაძის** № 53, **წითელწყაროს** № 72, **თიანეთის** № 73, **ზუგდიდის** №№ 77, 103, **ახალქალაქის** №№ 82, 116, **ლაჩჩუთის** № 83, **აბაშის** № 84, **სართიჭალის** № 85, **ლაგოდეხის** № 88, **მცხეთის** № 89, **ცაგერის** № 91, **კულაშის** № 92, **ჩოხატაურის** № 93, **წალკის** №№ 98, 117, **ბოლნისის** № 114, **თამარისის** № 146 (ბოლნისის რაიონი), **მარტყოფის** № 115, **ვანის** № 118, **ხეთას** № 119 (ხობის რაიონი), **ახალციხის** №№ 101, 122, **თელავის** № 127, **თეთრიწყაროს** № 128, **ახმეტის** № 130, **ბოგდანოვკის** № 134, **კაჯრეთის** № 137, **ცხინვალის** № 141, **ამბროლაურის** № 147 საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

ფართო პროფილის ტრაქტორისტის, ექსკავატორის, ბულდოზერის მემანქანის, ავტომანქანის მძღოლის, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი ზეინკლის, მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორის, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ოსტატის, მეფრინველეობის ფაბრიკებისა და ინკუბატორის ოპერატორის, მეცხოველეობის ფერმის მოწყობილობათა ზეინკლისა და ელექტრომონტიორის, სოფლ ი ს ელექტრიფიკაციისა და კავშირგაბმულობის მონტიორისა და სხვა.

გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნულ სასწავლებლებში შეიქმნება რაიონის სოფლის მეურნეობისა და სხვა ორგანიზაციებისათვის საჭირო მასიური პროფესიის საღამოს (ცვლიანი) სწავლების ცალკეული ჯგუფები წარმოებას მოუწყვეტლივ, აგრეფფე მომსახურების სფეროს პროფესიის ჯგუფები ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებთან და შესაბამის ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდეგ. ამ წინადადებებს ცალკე განიხილავს და დაამტკიცებს სახელმწიფო კომიტეტი.

აღნიშნული სასწავლებლების კურსდამთავრებულები განაწილდებიან სამუშაოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საქსოფლტექნიკის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ორგანიზაციებში და სხვა.

მსუბუქი, პოლიგრაფიის, ფეხსაცმლის წარმოების, მომსახურების სფეროს, კომუნალური მეურნეობის, კვების, ხორცისა და რძის, თევზის მრეწველობის, ვაჭრობის, საალრიცხვო დარგის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

თბილისის №№ 5, 11, 23, 24, 27, 34, 35, 36, 41, 43, 74, 75, 80, 107, 111, 138, 151, **ქუთაისის** №№ 37, 42, 67, 149, **ბათუმის** №№ 1, 76, **რუსთავის** № 86, **ქობულეთის** № 90, **გორის** № 39, **თელავის** № 52, **ხაშურის** № 64, **ცხინვალის** № 131, **ცხაკაიას** № 66 საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

მკერავის, მრთველის, მკერავის, მკერავ-გამომჭრელის, ლინოტიპისტის, მაღალი ბეჭდვის მბეჭდავის, ოფსეტური ბეჭდვის, პურფუნთუშეულის მცხობლის, რადიოტელევიზორების მექანიკოსის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოწყობილობათა შემკეთებ ე ლ ი ელექტროზეინკლის, მაცივარდანადგარების შემკეთებ ე ლ ი ზეინკლის, ავტომანქანის შემკეთებელი ზეინკ ლ ი ს, ხორცის გადამუშავებლის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გამყიდველისა და სხვა.

ზემოთ აღნიშნული სასწავლებლების კურსდამთავრებულები ძირითადად განაწილდებიან სამუშაოდ მსუბუქი მრეწველობის ფაბრიკებში, პოლიგრაფიულ საწარმოებში, თბილისის აღმასკომის კომუნალურ ორგანიზაციებში, პურის ქარხნებში, ხორცისა და რძის კომბინატებში, საქოვეგზრეწვის ორგანიზაციებში, თბილისბოსტანვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე და სხვა.

მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობისათვის კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ:

რუსთავის №№ 3, 16, 94, 104, **ზესტაფონის** №№ 99, 144, **მადნეულის** № 25, **ჭიათურის** №№ 20, 129 საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები.

ცხადდება აგრეთვე მოსწავლეთა მიღება **რუსთავის** № 124 საღამოს (ცვლიან) პროფტექნიკურ სასწავლებელში წარმოებას მოუწყვეტლივ.

ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიას:

ელმავლის და ორთქლმავლის მემანქანის, მემანქანის თანაშემწის, მოძრაგი შემადგენლობის, ელმავლის შემკეთებელ-ზეინკლის, სადგურის მორიგის, ვაგონის გამცილებლის (ქალები), ტრამვაისა და ტროლეიბუსის მძღოლის, საკონტაქტო ქსელის, კავშირგაბმულობის, სიგნალიზაციისა და ბლოკირების, ავტომატური ტელეფონის სადგურის ელექტრომონტიორის, მეკაბელე-მრჩილავის, ტელეგრაფისტის, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის მეელსმენის, კავშირგაბმ უ ლობის ოპერატორის, მეზღვაურის, გემის მოტორისტის და სხვა.

ცხადდება აგრეთვე მოსწავლეთა მიღება ვაგონის გამცილებლების (ქალების) პროფესიაზე **თბილისის № 31** ტექნიკურ სასწავლებელში წარმოებას მოუწყვეტლივ.

ზემოთჩამოთვლილი სასწავლებლების კურსდამთავრებულები განაწილდებიან სამუშაოდ: ამიერკავკასიის რკინიგზის, ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანების, საზღვაო ნაოსნობის, საქთვეზრეწვის, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ორგანიზაციებში.

სასწავლებლებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოება საკონკურსო შერჩევით მიმღები კომისიის მიერ გასაუბრების გზით, ატესტატის ნიშნების გათვალისწინებით. იმ პროფესიებზე ჩასარიცხად, რომელიც საგნის უფროო ღრმა ცოდნას მოითხოვს, ეწყობა გამოცდა.

სასწავლებელში ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება ახალგაზრდებს, რომლებიც სასწავლებლად მიელინებული არიან საგზურით საბაზო ორგანიზაციების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კომკავშირული ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულებს, საბაზო ორგანიზაციებში მომუშავეთა შვილებს, ობლებს, საბავშვო სახლის აღზრდილებს. საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდები პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან სწავლების შემცირებულ ი ვადის ჯგუფებში (8-10 თვე) და სწავლების მთელ პერიოდში ეძლევათ გადიდებული სტიპენდია (65-90 მან.).

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან 15-17 წლის რვა კლასის განათლების მქონე გოგონები და ვაჟები, **ტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკურ ჯგუფებში** — 17-30 წლის საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, ხოლო **საღამოს (ცვლიან) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში** — ასაკის განუსაზღვრელად.

ჩარიცხული ახალგაზრდები, რომლებიც არ გამოცხადდებიან მეცადინეობაზე უმეზეზოდ 10 დღის განმავლობაში, გაირიცხებიან სასწავლებლიდან.

მოსწავლეებს სასწავლებლებში სწავლების მთელი პერიოდი ეთვლებათ საერთო მუშაობის სტაჟად, აგრეთვე უწყვეტ მუშაობის სტაჟად, თუ შუალედი არ აღემატება 3 თვეს სასწავლებლის დამთავრების დღიდან მუშაობის დაწყებამდე.

სასწავლებლებში სწავლა უფასოა, გარდა ამისა, ქალაქის საშუალო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით, ხოლო სოფლის საშუალო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კვებით, ტანსაცმლით, სპეცტანსაცმლით და სტიპენდიით.

ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ კარგი აკადემიური წარმატება, მრეწველობის დარგის შესაბამისად მიეცემათ სტიპენდია თვეში 30-დან 37 მანეთის ოდენობით, ხოლო ფრიადოსან მოსწავლეებს 25 პროცენტით მეტი, რთულ პროფესიებში კი 65-80 მანეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 30 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად სამინისტროებს, უწყებებს, საბაზო საწარმოებს ნება დაერთო მისცენ ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს (რომლებიც რთულ პროფესიას ეუფლებიან), სახელმწიფო სტიპენდიის დაწესებული ოდენობის დანამატი პირველი თანრიგის მუშის სატარიფო განაკვეთის დონემდე საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია კადრების მომზადებისათვის.

გარდა ამისა, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ყველა სასწავლებლის მოსწავლეს მიეცემა საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 32 პროცენტი, ძსუბუქი და საფეიქრო, ქვანახშირის მრეწველობის, მეტალურგიის, მშენებლობის პროფესიებში კი 50 პროცენტი.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლების ვადა 3 წელია, ხოლო ჩვეულებრივ პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში — 1-2 წელი.

სწავლების პერიოდში მოსწავლეებს ეძლევათ სამხედრო სამსახურიდან გადავადება (გარდა საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ტექნიკური ჯგუფებისა). ხოლო იმათ, ვინც 8 კლასის ბაზაზე დაამთავრებს საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელს, სწავლის დამთავრების შემდეგ ეძლევათ განვადება კიდევ 1 წელი (20 წლის ასაკამდე).

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ეძლევათ დიპლომი საშუალო განათლების დამთავრებისა და პროფესიის მიხედვით თანრიგის მინიჭების შესახებ, ხოლო იმათ, ვინც განსაკუთრებით გამოიჩენს თავს სწავლაში და სანმუშო ყოფაქცევით, წარჩინების დიპლომი.

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში სწავლა წარმოებს ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, მოსწავლეთა კონტინგენტის შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 11 აპრილის № 296 დადგენილებით სასწავლებლების კურსდამთავრებულები ვალდებულნი არიან განაწილების მიხედვით იმუშაონ არანაკლებ 2 წელი (სამხედრო მიზეზის გამოკლებით). საგზურებითა და მიმართვებით ძვლინებული ახალგაზრდები განაწილდებიან ორგანიზაციებში, საადგილმამულო ორგანიზაციებში მომუშავეთა შვილებს, ობლებს, საბავშვო სახლის აღზრდილებს. საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდები პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან სწავლების შემცირებულ ი ვადის ჯგუფებში (8-10 თვე) და სწავლების მთელ პერიოდში ეძლევათ გადიდებული სტიპენდია (65-90 მან.).

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან 15-17 წლის რვა კლასის განათლების მქონე გოგონები და ვაჟები, **ტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკურ ჯგუფებში** — 17-30 წლის საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, ხოლო **საღამოს (ცვლიან) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში** — ასაკის განუსაზღ